E-149
1988

ISSN 0132-6007

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიმინეკრი

7
1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჯელლად გადანაკვეთი მეორე პროკლამაცია

მიმდინარე წლის 16 მაისს მოსკოვში გაიმართა საკ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს III პლენუმი.

კარგა ხნით ადრე, პლენუმის გახსნამდე, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და ოლქში შეიკრიბნენ IX საკავშირო პიონერული შეკრების დელეგატები. მათთან შეხვედრებზე მოდიოდნენ კომკავშირული ხელმძღვანელები, პიონერხელმძღვანელები, სასკოლო, შეფი ორგანიზაციების კომკავშირელები. ბავშვები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ გარდაქმნა პიონერულ ორგანიზაციაში ძალზე ძნელად მიმდინარეობს. „აქამდე ყველას პიონერული მარში მიგვიძღოდა, ახლა კი დავიბენით ჩვენც და, ჩვენთან ერთად, ჩვენი ხელმძღვანელებიც", — ამბობდნენ ისინი. ახლა, როცა ყველა რაზმეულს, რაზმს უფლება აქვს, მოიფიქროს საქმე თავისი სურვილისა და შესაძლებლობების მიხედვით, ჩვენ საამისოდ მზად ვერ აღმოვჩნდით. მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ ბევრი ნამდვილი საქმეა გასაკეთებელი, ჩვენ, უმეტესწილად ძველი ინერციით, გაუბედავად ვირჯებით, სულ „ზევიდან" მითითებას ველით, თვითმმართველობას თავს ვარიდებთ, თავს ვიზღვევთ. ამიტომ საჭირო და აუცილებელია, პიონერული ცხოვრების ყველა ეს მტკივნეული საკითხი განხილული იქნას საკავშირო პლენუმზე.

აი, ასეთი იყო ამ შეკრებათა საერთო აზრი და მოთხოვნა.

სწორედ ამიტომ საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს ბიურომ მიზანშეწონილად ცნო, პლენუმზე განსახილველად გამოეტანა პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შინაარსის გარდაქმნის კონცეფცია, რომელიც შემუშავებულია სწავლულების, პიონერული მუშაკებისა და ფართო აქტივის მონაწილეობით.

ბიუროს აზრით, ამის საფუძველი უნდა იყოს შემდეგი:

პირველი: პიონერული ორგანიზაცია მუშაობს პარტიისა და კომკავ-

შირის ხელმძღვანელობით. იგი კომკავშირის ცვლა და რეზერვია, არის ბავშვთა (უფროსებთან ერთად) კომუნისტური თვითმოქმედი, დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საკუთარი ბიუჯეტი, კადრები და მატერიალური ბაზა.

მეორე: პიონერული ორგანიზაცია, რომელიც აღიარებს კომუნისტური მიზნებისა და ამოცანების ერთიანობას, აღწევს მათს მრავალფეროვან განხორციელებას.

მესამე: პიონერული ორგანიზაცია თავის საქმიანობას აგებს ორგანიზაციაში შემავალი იმ ბავშვებისა და უფროსების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, რომლებსაც თავიანთი უფლებები და მოვალეობები აქვთ.

ეს უნდა იყოს კომუნისტური სულისკვეთებით, საერთო სასარგებლო იდეებით გამსჭვალული კოლექტიური მოღვაწეობა, აუცილებლად ხელმისაწვდომი ბავშვთა ორგანიზაციისათვის.

პიონერული მუშაობის ცენტრი უნდა იყოს რაზმი, რომელიც პიონერებს ინტერესებისა და მისწრაფებების მიხედვით გააერთიანებს.

რაზმები შეიქმნება რამდენიმე კლასის ბაზაზე, სკოლისგარეშე დაწესებულებებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოთა, კოლმეურნეობათა კომკავშირულ ორგანიზაციებთან.

პიონერულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს თავისი სახსრები, მატერიალური ბაზა, კადრების მომზადების სისტემა, პიონერული გამომცემლობა, კინოსტუდიები.

ძირითადად ასეთია კონცეფცია, რომელიც პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს ბიურომ წარუდგინა პლენუმს. იგი, ცხადია, ითვალისწინებს კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციის ახალ ურთიერთობებს; კომკავშირის XX ყრილობამ ხომ თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციას საწესდებო მოვალეობად დაუწესა პიონერებთან მუშაობა.

სამწუხაროდ, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები, კერძოდ, სასკოლო ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ შემობრუნებულან პიონერებისაკენ, არ ცხოვრობენ საერთო ინტერესებით და საზრუნავით. მართალია, კომკავშირის XX ყრილობის შემდეგ შეიმჩნევა პოზიტიური ტენდენციები, მაგრამ ახალგაზრდობისა და პიონერული ორგანიზაციების დიდი შემოქმედებითი პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრულად რეალიზებული. პიონერული და კომკავშირული კადრების ერთ ნაწილში მოკალათებულია კონსერვატიზმი, ინერცია და ძველი აზროვნების სტერეოტიპები.

გარდაქმნა კომკავშირში და პიონერულ ორგანიზაციაში ძნელად ხდება, შეიმჩნევა ცხოვრებიდან მოწყვეტა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, პლენუმი თვლის, რომ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები უნდა გახდნენ მომავალი თაობისათვის დემოკრატიის, თვითმმართველობისა და ნამდვილი კომკავშირული ამხანაგობის სკოლა.

უნდა ამაღლდეს პიონერული ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა პიონერების კომკავშირში შესასვლელად მომზადებისა და რეკომენდაციის საქმეში.

დაინერგოს პიონერულ ცხოვრებაში დემოკრატიული საწყისები.

კომკავშირის კომიტეტები მტკიცედ უნდა დადგნენ პიონერიის ინტერესების დასაცავად. ნორმად უნდა იქცეს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობა.

კომკავშირის კომიტეტებმა, პიონერული ორგანიზაციების საბჭოებმა უნდა დასახონ და განახორციელონ კონკრეტული საქმეები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოზარდი თაობის აღზრდას პატრიოტული და ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით, ჩაუნერგავენ მათ საბჭოეთის ყველა ეროვნების კულტურის, ენისა და ტრადიციებისადმი ღრმა პატივისცემას, შეამჭიდროებენ ახალგაზრდობას სოციალიზმის განმტკიცებისათვის, გარდაქმნისათვის.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო მიმართავენ კომკავშირელებს, პიონერებს, გამოიჩინონ ინიციატივა და თვითმოქმედება, კონკრეტული საქმეებით უპასუხონ პარტიის გადაწყვეტილებებს, ღირსეულად შეხვდნენ XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას, ლენინური კომკავშირის 70-ე წლისთავს.

მაშ ასე, საქმე თქვენზეა! ყოველი რაზმი, ყოველი პიონერი უნდა ეცადოთ, რაც შეიძლება ხშირად მოძებნოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი შრომითი საქმეები, შეისწავლეთ და გაუფრთხილდით თქვენს მშობლიურ მხარეს, ბუნებას, მიდით იმათთან, ვისაც თქვენი სითბო, დახმარება სჭირდება. თქვენ მოგელიან თქვენი თანატოლები ბავშვთა სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში, შრომისა და ბრძოლის ვეტერანები და ინვალიდები. გაბედულად გადაწყვიტეთ თქვენი პრობლემები. საინტერესო იქნება თუ არა თქვენი რაზმის ცხოვრება, ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე, თქვენს ინიციატივასა და გამომგონებლობაზეა დამოკიდებული. ნუ დაელოდებით ყველა საკითხზე გადაწყვეტილებებსა და მითითებებს „ზემოდან“, ხომ გახსოვთ, როგორ მიმართა IX საკავშირო პიონერული შეკრების დელეგატებს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა: „გაბედულად მოკიდეთ ხელი ნამდვილ, სასარგებლო საქმეებს, იმას, რაც ჯერ არავის მოუსინჯავს, იმოქმედეთ ენერგიულად და დაბეჯითებით“.

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ჰიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

7 ივლისი 1988

F-5425

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ეიფანი და საფრუნავი გვაქვს

ნანა ფავლენიშვილი

ფოტო ჯ. კასრაძისა

გულის ფანცქალით ელოდნენ ოქტომბრელები ამ დღეს... და აჰა, დღეიდან მათ მკერდსაც დაამშვენებს ალისფერი ყელსახვევი

კლასი უცბად ახმაურდა: ორი ბიჭუნას კინკლაობა ჩხუბში გადაიზარდა, ბავშვებმა ხელიც კი წაჰკრეს ერთმანეთს. გოგონები ვერას გახდნენ. მხოლოდ თეა კვირკველიას გამოჩენამ დააშოშმინა პატარები. მან ბიჭები პიონერთა ოთახში შეიყვანა და მშვიდად გამოჰკითხა ჩხუბის მიზეზი. გამოირკვა, რომ ბრალი ორივეს მიუძღოდა. თეა ტაქტიანად ესაუბრა ბიჭებს, გააცინა, გაახალისა. ისინი მალე შერიგდნენ და ერთად გაიქცნენ საკლასო ოთახისაკენ.

თბილისის 150-ე საშუალო სკოლის ოქტომბრელებთან მუშაობის ორგანიზატორმა **თეა კვირკველიამ** კარგად იცის, რომ ბავშვის საჯაროდ დატუქსვა მხოლოდ უარყოფითად მოქმედებს მის მგრძნობიარე სულზე. უფროსი მეგობარი უნდა ენდობოდეს მას, ობიექტურობას იჩენდეს და აღიარებდეს მის ღირსებას. ეს არის ბავშვებთან მუშაობის წარმატების საწინდარი.

— უცნაური და მოუსვენარი ხალხია ეს ოქტომბრელები, — ღიმილით მეუბნება თეა. — შეიძლება ითქვას, გუშინ მოვიდნენ საბავშვო ბაღიდან, სულ ახლახან დედიკოები და ბებიები მოაცილებდნენ სკოლაში. ზოგი ახლაც ატარებს ჩანთით საყვარელ სათამაშოს. ყოველი მათგანი განსაკუთრებული, განსხვავებული სამყაროა. ზოგი გულჩათხრობილი და უთქმელია, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს, ზოგი კი, პირიქით, ენერგიული და შემტევია, ცდილობს, ყურადღება მიიქციოს. ამიტომ ყოველ მათგანთან ინდივიდუალური მუშაობაა საჭირო.

ფიქრში, განსჯაში, კამათში იბადება ოქტომბრელებთან მუშაობის ახალი ფორმები, მზადდება მრავალფეროვანი საინტერესო ღონისძიებები

— ოქტომბრელებთან მუშაობა, მათი სწორი ზნეობრივი და იდეური აღზრდა პიონერული ორგანიზაციის უმთავრესი საქმეა, — საუბარს სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი **ეთერ წულაძე** განაგრძობს. — უკვე სამი წელია აქა ვარ და გულახდილად მინდა გითხრათ, რომ კმაყოფილი ვარ პიონერთა მუშაობით. სწავლა და შრომა, სპორტი და თამაში, მხიარული დასვენება, უფროსების დახმარება, უმცროსებზე ზრუნვა — აი, მათი საქმეების არასრული სია.

პირველ ყოვლისა, პიონერებმა იზრუნეს იმაზე, რომ თავიანთი შეკრების ადგილი — პიონერთა ოთახი — ლამაზად მოეწყოთ. რასაც აქ ხედავთ, სულ მათი ნახელავია. თვალს ხიბლავს ლამაზი ქსოვილით დაფარული კედლები, კოპწიად ჩამწკრივებული წიგნები და ალბომები, ნახატები, ნაქსოვები, სურათები.

— სკოლაში 250-ზე მეტი პიონერია, ყველანი კარგად იცნობენ ერთმანეთს — ერთად საქმიანობენ, ერთი მიზანი და საზრუნავი აქვთ. ვცდილობ არ შევზღუდო მათი ინიციატივა, მინდა, რომ დამოუკიდებლად აზროვნებდნენ და მუშაობდნენ. გოგო-ბიჭები ხალისით გვიზიარებენ თავ-თავიანთ აზრებს, კამათობენ, მსჯელობენ, — განაგრძობს ეთერი.

შორენა ბოჭორიშვილი — რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე: — ჩვენი რაზმეულის პიონერებს გამორჩეულად უყვართ პატარებთან მუშაობა. ისინი ხომ მომავალი პიონერები არიან, ამიტომ კარგად უნდა იცნობდნენ პიონერთა კანონებს, ტრადიციებს. უნდა გახდნენ უფროსებივით გამრჯენი, პირდაპირნი, პატიოსანნი და შრომისმოყვარენი, ჩვენ სწორედ ამაში ვეხმარებით მათ.

საუბარში ისევ **თეა კვირკველია** ჩაერთო: — ბავშვებთან მუშაობა საჭიროა განუწყვეტლივ. თუ პატარები რაიმე საკითხით დაინტერესდნენ და მხარში დაუდექი, სულითა და გულით გამოგყვებიან ბოლომდე. მათი მთავარი ამოცანა კარგი სწავლაა. ჩვენც ვუხსნით, რომ კარგი სწავლა მათი ცხოვრებისათვის, მათი მომავლისათვისაა აუცილებელი. ვაყვარებთ სწავლის პროცესს, ვუხსნით გაუგებარ მასალას. ყოველ მათგანს შედგენილი აქვს დღის რეჟიმი. სახლშიც ვაკითხავთ ხოლმე, ვესაუბრებით სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე.

ნინო სოლოშვილი, კულტმასობრივი მუშაობის ხელმძღვანელი: — თავიდანვე მიყვარდა ბავშვები და მათთან მუშაობა. მიხარია მათი გაბრწყინებული თვალების შემონათება და ვცდილობ, მათთვის საინტერესო და სასარგებლო საუბრები თუ ღონისძიებები ჩავატარო. ისინი ყოველთვის დიდი აღტაცებითა და მონდომებით მონაწილეობენ ნაირგვარ ღონისძიებებში. ჩავატარეთ საახალწლო კარნავალი, აგრეთვე 8 მარტისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზედაც ბავშვებმა საყვარელ მასწავლებლებს, დედებსა და ბებიებს თავიანთი ნახელავი მიართვეს საჩუქრად, წაუკითხეს ლექსები და ზღაპრები, იცეკვეს, იმღერეს.

ნინო ხანანაშვილი, ინტერკლუბის ხელმძღვანელი: — ვცდილობთ, პატარებს ამხანაგობის, მეგობრობის, ურთიერთპატივისცემისა და გაგების გრძნობები გავუღვივოთ. ვესაუბრებით ჩვენს დიად სამშობლოზე, ინტერნაციონალურ მეგობრობაზე, პატრიოტიზმზე... პატრიოტიზმი კი მშობლიური კლასის, სკოლის სიყვარულით იწყება. ბავშვები ცდილობენ, მათი საკლასო ოთახები ყოველთვის სუფთა იყოს, წიგნები და რეე-

კიდევ ერთი ოქტომბრელი „მოინათლა“ პიონერად!

მაკულატურის გეგმა შესრულდება!

არც ჯართის გეგმა „ჩაუვარდებათ“!

ულები — მოწესრიგებული, მერხები — დაუჯღაბნელი.

— როგორც ნინომ აღნიშნა, ბავშვებთან ყოველი შეხვედრა ახლებური, საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს, — ამბობს **მერაბ აბულაძე.** — პატარებს სკოლის ტრადიციები, პიონერული ორგანიზაციის ცხოვრება გავაცანით, მოვამზადეთ ისინი „წითელი ვარსკვლავის“ ზეიმისათვის, ვესაუბრეთ ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ჩვენ გვინდა, რომ ნორჩ ლენინელთა რიგებში მიღების დღე მათთვის ნათელი, მშვენიერი და დაუვიწყარი იყოს. საზეიმო ფიცის შემდეგ მათ ალისფერ ყელსახვევებს გაუკეთებენ და დაიწყება ახალი, პიონერული ცხოვრება... ჩვენს კეთილსინდისიერ მუშაობაზე, უნარსა და გამომგონებლობაზეა დამოკიდებული, როგორ ცვლას მოვუმზადებთ პიონერულ ორგანიზაციას.

ეთერ წულაძე: — აპრილში ხსოვნის დღე აღვნიშნეთ. ჩვენი სკოლის აღზრდილის, ტარიელ ერაძის სახელი მივანიჭეთ VI რაზმს. ტარიელი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ავღანეთში.

ჩვენი ოქტომბრელები სერიოზულად ემზადებიან შრომითი საქმიანობისათვის. ასუფთავებენ სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს. ეგროვებენ ჯართსა და მაკულატურას, ხატავენ, ძერწავენ, ქარგავენ, ხვდებიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს.

პიონერთა ოთახში შავთვალწარბა ბიჭუნამ შემოიხედა.

— შემოდი, შემოდი, — შემოიპატიჟა ეთერმა ყმაწვილი. — გაიცანით, ეს ლევან გრიგალაშვილია, III კლასის მოსწავლე, ძალზე აქტიური ოქტომბრელი.

ბიჭი მორიდებით შემოვიდა, ჯერ გაუბედავად გვიპასუხებდა, მერე თანდათან გამოცოცხლდა და საინტერესოდ გვიამბო თავისი „ვარსკვლავის“ საქმიანობაზე. ლევანი თურმე შესანიშნავად კითხულობს ლექსებს, ბიჭუნამ სიყვარულით დაგვისახელა თავისი ენერგიული და შრომისმოყვარე მეგობრები: მიშიკო კოჭლამაზაშვილი, ხათუნა სულაძე, ნათია ქოსაშვილი, ეთერ მირუაშვილი და სხვები...

აი, ასეთი ჭკვიანი და უნარიანი გოგო-ბიჭების ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდაა ჩვენი უპირველესი მოვალეობა. პატარა მეგობრებისადმი ასეთი უანგარო სიყვარული, შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება წარმატებული მუშაობის საწინდარი, ყოველივე იმ კარგის საფუძველია, რაზედაც მომავალში მათი ცხოვრება და საქმიანობა აიგება.

ნინო სოლოდოვილის რეჟისორობით დადგმული „ბაჭია ბაჭია“ (მესამე კლასი) ძალზე საინტერესო გამოვიდა

ჯარდოე ასადი,
თბილისელი ქურთი პოეტი

მკერავი

ჯერ ისევ იდგა სოფელში
ღამე, მდუმარე ღამე.
ეფინა ღრუბლის ზეწარი
მინდვრებს,
ქედებს და ხრამებს.
უცებ მოედო ეზო-კარს:
მტერი მოდისო რისხვით,
ცას გადაბუგავს ხანძარი,
სოფელს წალეკავს სისხლი.
ზოგმა მიმალა ცხვარ-ძროხა,
ზოგმა — ოქრო და ვერცხლი,
ზოგმა კი ხორბალს მიხედა,
არ დაინდობსო მხეცი.
ზოგმა წაიღო ურმებით
ავეჯი მამა-პაპის,
ზოგმა ძლივს გადაიტანა
ქვევრი მეორე ნაპირს.
რაც კი შეეძლოთ, დატვირთეს,
მიმალეს ხვნეშა-ხვნეშით...
თან გაიყოლა მკერავმა
მხოლოდ ძაფი და ნემსი.
სოფლის მცხოვრებნი სცინებდნენ,
წელს იწყვეტავსო ჯაფით,
პურს ვინ აჭმევსო, რომ მიაქვს
მარტო ნემსი და ძაფი.
მკერავმა კი თქვა: სადაცო
ხარობს სიცოცხლის ფესვი,
იქ ალალ ლუკმას მაჭმევსო
მე ეს ძაფი და ნემსი.

ვირი და აქლემი

აქლემმა ვირს მოჰკრა თვალი,
სიცილით შესძახა მწარედ:
— მაგ შენი უტვინო თავით
როგორ გამოდიხარ გარეთ?
არა გაქვს სირცხვილის ჯრძნობა?
დადიხარ და ნერვებს გვიშლი!
ფანჯრები ჩაკეტა ხალხმა
მაგ შენი ყროყინის შიშით.
ვირმა გადახედა მინდორს,
შეჩერდა და უთხრა აქლემს:
— მიკვირს, რომ ვერ ხედავ თვითონ
შენს ნაკლს და სირცხვილის ლაქებს.
გაჩუმდი, ხმას როგორ იღებ,
სჯობია, რომ იყო წყნარად:
შენი სიმახინჯის სარკედ
მარტო ეგ კუზიც კი კმარა!

ნუ ჩქარობ, ნუ ჩქარობ, გეტყვი,
სიჩქარე არ შველის საქმეს:
პირველად შეხედე შენს თავს,
სხვას მერე მიუთითე ნაკლზე.

თარგმნა ვახტანგ გორგანელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარავანი

კარლო კობერიძე

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

მოთხრობა

— უთხარი, ბებიასთან ვისადილე-თქო.

— მაინც გამიჯავრდება.

მაშინაც მიჯავრდებოდა დედა, როცა დაუკითხავად გავდიოდი ეზოდან; თუ გავიპარებოდი, მთელი უბანი ჩემს ძებნაში იყო — ისეთი ამბავი დატრიალდებოდა ხოლმე, თითქოს ქვეყანა დამექციოს...

დღე როგორ გავიდოდა, ვინმე არ გვწვეოდა. სტუმრები უფრო მამაჩემის მეგობრების ცოლები იყვნენ, ანდა დედაჩემის ინსტიტუტის ამხანაგები. ძველ ამბებს გაიხსენებდნენ და ყველაფერზე ეცინებოდათ.

ბევრი რამ მიკვირდა მაშინ, ისიც, ყველაფერი სხვათა მოსაწონი რომ გვქონდა: სახლი, აივანი, ჭიშკარი, კიბე, ავეჯი, ჭურჭელი, ტანსაცმელი... რასაც ხედავდნენ სტუმრები. ერთხელ მაგარი ქარი ამოვარდა და მსხმოიარე გულაბის ტოტი ჩამოხლიჩა. ის გულაბი ბოსტანში გვედგა, აუჰ, როგორ იცოდა სხმა! მაშინ კი, ტოტი რომ ჩამოუხლიჩა ქარმა, იმ ხმობაშეპარულ ტოტს საცოდავად შეჭკნობოდა ფოთოლი და ნაყოფი. ერთმა სტუმარმა ქალმა დაინახა და თქვა, დედა, რა ლამაზად ჩამოხლეჩიაო.

ჰოდა, სტუმრები რომ მოდიოდნენ, დედას ჩემთვის აღარ ეცალა — საუბარში გაერთობოდა ხოლმე. მეც დროს ვიხელთებდი და მივიძურწებოდი შინიდან. მინდოდა დიდხანს დარჩენილიყვნენ სტუმრები, ვერ გაეგო დედაჩემს, უბანში თუ ვიყავი გასული. უბანში კი რაღა არ იყო საინტერესო! ირემაშვილების ძველი ბეღელი; ჩემი ჯგუფელის, ფიქრიას უფროსმა ძმამ სამი გადასაგდები ველოსიპედიდან ერთი მშვენიერი ველოსიპედი რომ ააწყო; კევლიშვილების კუდაპრეხილი სიამის კატა, ამ ახლომახლოში ვირთაგვების სინსილა რომ გააქრო; შენგელიძეების ფულუროიანი კაკალი, ყოველ წელიწადს სახლჩიტებს რომ ბუდე ჰქონდათ შიგ; ლადო პაპას — ლადო მექვევრიშვილის სხვენზე შენახული ძველისძველი აკვანი; ლადო პაპა თავს იწონებდა, ამ აკვანში გავიზარდეო. ერთხელ თქვა, სანაგვეზე გადაგდებულს ყველაფერს ნახავ, აკვნის გარდაო... რა ჩამომათვლევინებს ყველაფერს!.. ღელის გაღმა კიდევ, ტყის პირში, ციხე-კოშკის ნანგრევები იყო. ბიჭები ამბობდნენ, იმ ნანგრევების ქვეშ გვირაბია და თურმე ჩვენს ღელეში ჩამოდისო. მინდოდა, იმ ციხე-კოშკის გვირაბი მეპოვნა, მაგრამ ისეთი მიუწვდომელი მეგონა იქამდე მისვლა, ვერავინ დამაჯერებდა, ოდესმე თუ ამიხდებოდა ეს ნატვრა.

ასეთი სტუმრიანობის დღეს გავიპარე ერთხელ, ჩილიკაობა ვითამაშე ბიჭებთან. მეზობლის ქალაქელმა სტუმარმა შემთხვევით მომარტყა ჩილიკა ჯოხი, წარბი გამიტეხა. იმდენი სისხლი არ დამდენია, რამდენი ცრემლიც მადინა დედაჩემმა, ყველას კი არ უნდა გაუყადრო თავი, შე ჩვენი ოჯახის შემარცხვენელოო, მამაჩემიც სულ იმას მეუბნებოდა — უნდა იცოდე, ვისი შვილი ხარ და ვისთან იმეგობროო.

4

ერთ კვირა საღამოს ველოსიპედს დავაქროლებდი ეზოში, უფრო ჩვენს სახლს ვუვლიდი გარშემო. მამა შინ იყო, ვარდებს ძირს უბარავდა, თან დედაჩემს ხმამაღლა ელაპარაკებოდა რაღაცას. ხანდახან ბარის ტარზე დაეყრდნობოდა ხოლმე, თვალს გამომაყოლებდა — ფრთხილადო და ისევ დედაჩემთან განაგრძობდა ლაპარაკს. დედაჩემი დაბალ სკამზე იჯდა და თავშალს ქსოვდა.

ქვევიდან სატვირთო მანქანა მოდიოდა, — ალბათ ძალიან დაეტვირთათ, ხმაზე ეტყობოდა, აღმართის ამოთავება უჭირდა. ველოსიპედი კედელს მივაყუდე და ჭიშკარს ვეცი.

— სად მიხვალ! — მიყვირა მამამ.

— მანქანა მოდის და იმას უნდა ვუყურო.

— გზაზე არ გახვიდე!

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანამ მარჯვნივ, ჩვენკენ რომ გადმოუხვია, დავინახე, რკინები ედო. ის რკინები მისაბმელზე გრძელდებოდა. აღმართზე ნელა, თითქოს წვალებ-წვალებით ამოდიოდა. ამოათავა აღმართი, გამცდა და მოტორიც ჩაუქრა. მოტორის ჩაქრობა და უკან-უკან დაგორება ერთი იყო. შემეშინდა — ეზოში შევვარდი. ვიდრე უკან მივიხედავდი, გრუხუნი მომესმა. უკან რომ მივიხედე, ჩვენი გალავნის კუთხე მოკბეჩილივით ჩანდა და ის გრძელი, ღარიანი რკინები თხილის ბუჩქში ქანაობდა. მამა მშვიდად, აუჩქარებლად წავიდა ჭიშკრისკენ. დედა კი წამოხტა სკამიდან, მაგრამ, ეტყობა, ვერ გაიაზრა, რა მოხდა, მამას მიშტერებოდა, თან ქსოვდა. ისე ქსოვს დედაჩემი, ჩხირებსა და საქსოვს არ დახედავს ხოლმე, სიღარიბემ მასწავლაო.

მე და მამა ჭიშკართან რომ მივედით, შოფერი უკვე გადმოსულიყო მანქანიდან და გალავნის ჩამონგრეულ კუთხეს უყურებდა. მანქანა გზაზე გარდიგარდმო გახირულიყო, ცოტაც და ღელეში გადაეშვებოდა. ღელის ფერდობი სავსეა ხეხილით, სულ გადალეწავდა იმ ხეხილს.

— გადავრჩი, — თქვა შოფერმა და მამას გაუღიმა.

— საბუთები მაჩვენე, — უთხრა მამამ.

მამაჩემზე გაცილებით ხნიერი ჩანდა შოფერი, წვერი ჰქონდა გაპარსული, თმაც — კოხტად დაყენებული, ტანსაცმელი სუფთა ეცვა.

— რა საბუთებსა მთხოვ? — ჰკითხა შოფერმა.

— ჯერ მასალისას.

— საგარეჯოდან მომაქვს და, ამ ავტოინსპექტორების ოხრობაში, როგორ გგონიათ, უსაბუთოდ წამოღებას გავრისკავდი?

— შენ არ გეუბნებიან?! — უყვირა მამაჩემმა.

— რა გაყვირებს მერე? — შოფერიც აყვირდა, — ყველა მე როგორ დამყვირის, კაცო?

— გეუბნები, საბუთები მომეცი-მეთქი!

— უკანონოს რას გთხოვს, — ეუბნება დედაჩემი, — რატომ უშლი კაცს ნერვებს?

მეზობლებიც გამოვიდნენ გზაზე, ვნახოთ, რა მოხდებაო.

— კი ბატონო, ინებეთ, — კაბინაში შევიდა შოფერი და ქაღალდში შეხვეული საბუთები გამოიტანა. — ნახეთ, ბატონო, ქვეყნის დამქცევი რომ არა ვარ.

მამამ საბუთებს ჩახედა.

— საგზური სადა გაქვს, საგზური და წიგნაკი?

— მანდაა ორივე.

— სად მიგაქვს მასალა?

— სკოლის მშენებლობაზე.

სპორტდარბაზი უნდა აეშენებინათ, უკვე ამოწეული იყო კედლები.

მამამ დაკვირვებით გასინჯა საბუთები:

— ხვალ ცხრა საათზე მობრძანდი რაიკომში, იქ გაჩვენებ, როგორ უნდა ყვირილი!

— უსაბუთოდ როგორ დავბრუნდე აქედან?

— მერე, შენი დანგრეული გალავანი მე ავაშენო?

— ზეგ ავაშენებ, მანამდე არ მცალია.

— დღესვე არ აგიშენებია, სულ აგიკრძალავ შოფრობას!

— რა დავაშავე ვითომ?

— ეს ავარია არაფერია?

— ზოგ კაცს ხევზე ქვიშასაც ვერ დაანახებ, რკინამ გასწიოს გაქირი, გასაკვირია?

— არა მცალია შენთან სალაპარაკოდ! — უთხრა მამამ და წასასვლელად შეტრიალდა.

ლადო პაპას სიძე, ვახტანგი მივიდა შოფერთან და რაღაც უთხრა ყურში.

— კიდეც იმიტომ! — გაეღიმა შოფერს, — დღესვე ავაშენებ! — აჩქარებით შევიდა კაბინაში, დაქოქა მანქანა, ფრთხილად გაასწორა და ფრთხილად შეუდგა აღმართს. არ გასულა ერთი საათი, ისევ იმ მანქანით მოვიდა, მუშები მოიყვანა. იმ მუშებს ჩვენი სპორტდარბაზის მშენებლობაზე ვხედავდი. აგურიც მოიტანეს, ცემენტიც, ლამიც. შებინდებისას ჩვენი დანგრეული გალავანი უკვე გამთელებული იყო. შოფერი სხვაზე მეტსა მუშაობდა.

საბუთები დედაჩემმა გაუტანა და უთხრა:

— უნდა იცოდე, ვის როგორ ელაპარაკო.

— ვიცი, ქალბატონო, მაგაზე მეტი რა მასწავლა ცხოვრებამ, მაგრამ ის კი არავინ იცის, ჩემისთანა საწყალ კაცს როგორ უნდა ელაპარაკონ.

დიდი თოვლი მოვიდა, სულ გადაათეთრა ყველაფერი. სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა ლადოს პაპა, ლადო მეგუთნიშვილისა, ლადო ერქვა იმასაც, კალატოზი იყო. ლადო ერთი წლით უფროსია ჩემზე, სწავლით ვერ სწავლობს კარგად, მაგრამ ყველაფერი ემარჯვება — ვაზის გასხვლაც, მყნობაც, ახლა კიდევ სულ ხვეწი, რანდა, ხუშტარა, სისო ხერხი, საჭრეთელი უჭირავს ხელში, დურგლობას არაფერი სჯობიაო. ძალიან ღარიბად ცხოვრობენ: პაპა ლოგინად ჰყავდა ჩავარდნილი, მამა კიდევ — დაუჭირეს, უკვე წელიწადია, ციხეში ზის; მეღორეობის ფერმაში მუშაობდა. ერთი ტომარა დაღერღილი სიმინდი გაეტანებინა ბიძაშვილისთვის. თურმე მანქანის საბარგულში რომ ჩაუდო, მაშინ წააწყდა თავმჯდომარე, შენ მინიავებ ფერმასაო. მამაჩემს ეხვეწებოდა ლადოს დედა — მაყვალა ძალო, ხათრი ვერ გაუტეხა ბიძაშვილს, ერთად დაიზარდენით, ხომ იცი, მაგისი ქურდობა არ გაგონილა, გვიშველეო. მამაჩემმა, მაგ საქმეში ვერ ჩავერევიო. წელიწადნახევარი მიუსაჯეს.

მთელი სოფელი ეხვეწებოდა თავმჯდომარეს, მილიციას ნუ გადასცემ, საწყალი, პატიოსანი კაცია, ხათრმა დაღუპაო. არ აპატია. ვინ არის დასაჭერი და ვის იჭერენო, მანანა ბებიამაც ესა თქვა მაშინ.

ლადოს პაპა რომ გარდაიცვალა, იმ ღამესვე მოვიდა ლადოს დედა, ყურძენს ჩავაბარებ შემოდგომაზე, მანამდე ხუთასი მანეთით გამიმართეთ ხელი, სიკვდილმა სიღარიბე არ იცის, ადათი თავისას მოითხოვსო.

— ფული სადა მაქვს, ქალო?! — გაიკვირვა მამაჩემმა, — თვიდან თვემდე ხელფასს შევყურებ!

— იქნებ სალაროში აქვთ-მეთქი.

— მქონდეს, შენი თქმა რად მინდოდა!

ბიძაჩემს გაეგო ლადო პაპას სიკვდილი, ხამძიმარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისულიყო, ეთქვათ, შენს სიძესთან მივიდა მაყვალაო და, აკი ამ ლაპარაკს არ შეესწრო!

— მე გასესხებ, მაყვალ, მაგდენი ფული კი მაქვს. მეტიც დაგჭირდეს, ნუ მოგერიდება. ცხონებულის ხათრიც მქონდა, შენი ქმრისაც, შენიც და, რაღა თქმა უნდა, სინდისისაც.

— ღმერთმა გაგახაროს, — ისევ ატირდა მაყვალა ძალო.

მაყვალა ძალომ რომ გაიხურა კარი, ბიძაჩემმა გააყოლა თვალი და მამაჩემს გადახედა:

— შენი მშობლები ერთ თვეში წავიდნენ ამ ქვეყნიდან. გეხსომება, ლადო ძიამ ნახევარ ფასად მოგცა თავისი დეკეული და ორივეს საფლავს თაღი გადაუყვანა უსასყიდლოდ. არ უნდა დაგვიწყებოდა.

— არა მაქვს და რა მივცე?

— შენს ადგილზე, ვისესხებდი და უარით მაინც არ გავისტუმრებდი. უნდა დაეხმარო.

— რითი, ბიჭო?!

— დეკეული უშოვე გამოწერით.

— მერე ის თავმჯდომარე თუ მეურნეობის დირექტორი თავზე დავისვა?

— მაგას არავინ გაკადრებს; არც გაჭირვება უკვირს ვინმეს, არც მიცვალებული.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ეზოს კარი შემოაღო ვილაცამ, ოჯახიშვილებოო.

— მობრძანდით! — გასძახა მამაჩემმა.

პირველად კაცი დავინახე, ხურჯინი ეკიდა მხარზე, ცალ ხელში ინდაური ეჭირა, ცალში კიდევ — სამი ფერადი ქათამი. ქალს მოწნული, მაღაზიის კალათა მოჰქონდა.

შემოვიდნენ საჩეხში, გამარჯობათო და მოგვაჩერდნენ.

— ვინა ხართ? — ჰკითხა მამაჩემმა.

— თქვენზე მლოცველები, შვილო, — თქვა დედაკაცმა.

— შინ შემობრძანდით, — კარი შეაღო ბიძაჩემმა და ჩამოეცალა.

უცხო კაცმა ინდაური და ქათმები მაგიდის ქვეშ შესხა ფრთხილად და მერე შემოვიდა ოთახში. დედაკაციც შემოჰყვა.

— რა ამბავია? — ისევ მამაჩემმა ჰკითხა.

— ერთ კვირაში ახალი წელიწადი ჩამოდგება, შვილო, — უთხრა დედაკაცმა, — ძღვენი მოგართვით.

— რაო?!

— საახალწლო ძღვენი. განა გიჭირთ რამე, მაგრამ ესა, შვილო, სამადლობელია, თქვენ ისეთი სიკეთე გაგვიწიეთ, დღე არ გათენდება, არ გვახსოვდე.

ბერიკაცმა ხურჯინი შკაფის გვერდით დადო. დედამ სკამი გამოსწია:

— დაბრძანდით.

კალათის დადგმაც მაშინ მოიფიქრა დედაკაცმა. ბებიაჩემზე ხნიერი მეჩვენა, ისეთი გალეული იყო, გამიკვირდა, ამოდენა კალათას როგორ ძრავს-მეთქი.

ბერიკაცი სკამზე დაჯდა, მაშინ შევხედე მამაჩემს — სიწითლე მორეოდა, გაბრაზებისას ემართებოდა ასე.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა ბიძაჩემმა, თან ხელზე ხელი მოუჭირა მამას.

— ხილოვნიდანა ვართ, შვილო. სიკეთეს გადახდა უნდა, — ბიძაჩემს შეხედა ბერიკაცმა.

— რა სიკეთეზეა ლაპარაკი?

— შვილიშვილი გაგვიხდა ავად და ამ კარგმა ადამიანმა მოგვხედა, — ახლა მამაჩემს მიაჩერდა.

მამა სკამზე დაეშვა და თავი ხელებში ჩარგო.

— მერე? — დაინტერესდა დედა...

— მერე, შვილო, — დედაკაცმა დაიწყო, — გავასინჯეთ ექიმს. გამოწერა წამალი, მაგრამ ის წამალი ვერსად ვერ ვიშოვნეთ, ვერც აფთიაქში, ვერც შავ ბაზარზე. ბიჭი კი, არმაზი, თვალსა და ხელს შუა გვენავლებოდა. მაშინ, აღარ მახსოვს ვინ მირჩია, რაიკომში მიდიო. მივედი. კიბეზე რომ ავდიოდი, ეს გასახარელი შემხვდა, დაბლა ჩამოდიოდა, — მამას შეჰღიმა, — რამ შეგაწუხათ და ვისთან მიბრძანდებით, დედიო. ჩემი გასაჭირი შევჩივლე. წამობრძანდითო, უკან გაბრუნდა. წავყევი. აფთიაქის უფროსს დაურეკა, ჩემი სახელით მოვა ასეთი და ასეთი ქა-

ლიო და ახლავე მიეცი წამალიო. მომცეს. მალამოდ ექცა ჩემს არმაზს, აგრემც ჩემს სწორს მოიყრით, შვილო... ერთი თვის ჩამოსული იყო ჯარიდან.

მამამ თავი ასწია და იყვირა:

— რაც მოგიტანიათ, წაიღეთ და წადით ახლავე! — მაგიდას დაარტყა მუშტი.

ისე შემეშინდა, კინაღამ მაგიდის ქვეშ შევძვერი. დედაჩემი შეკრთა, იმ უცხოებმა კი ერთმანეთს გადახედეს, ისე დაიბნენ, ხმა აღარ ამოუღიათ. კაცი ადგა და ხურჯინთან მივიდა, დააჩერდა. მარჯვენა ხელი უკანკალებდა, მარცხენა წაივლო და ისე გაიჩერა კანკალი. დედაკაცმა თავშალი შეისწორა და წამოდგა:

— არ გვეგონა, სამადლობელზე თუ ხელს გვიკრავ-დით.

მაშინ იყო, ბიძაჩემმა რომ თქვა:

— როგორ გეკადრებათ ხელის კვრა! ძღვენი, მოსაკითხი აუცილებელიც კი იყო ძველ საქართველოში. დაბრძანდით.

ჯერ დედაჩემი დაჯდა, მერე ის უცხოები დასხდნენ. მამა ისეთი გაკვირვებული უყურებდა ბიძაჩემს, ვიფიქრე, ენა დაება-მეთქი.

ბიძაჩემმა განელებული ღუმელი გამოაღო, შეშა შეუკეთა და ორივე ხელით დაეყრდნო მაგიდას:

— სიძე-ბატონო, რას ხედავ აქ გასაბრაზებელს?

— მეტი რაღა გინდა, კაცო, ამ შუადღისას, ქვეყნის დასანახად მომადგნენ კარზე ინდაურით, ქათმებითა და კალათა-ხურჯინით!

— ძალიანაც კარგი! ეს იმას ნიშნავს, საეჭვო არაფერია.

— მაინც ქრთამი ჰქვია ამას!

— რას ამას?

— რაც მოიტანეს!

— მერე შენ ვინ მოგიტანა! აი, ოჯახს, ბავშვს მოუტანეს. ხალხს შვილიშვილი გადაურჩინე, ამათ კიდევ ამით, ამ მოსაკითხით გამოხატეს მადლობა. რა არის აქ საღავლავო და ნერვების ასაშლელი! იყიდეთ? — კაცს მიაჩერდა, მაგრამ ქალმა თქვა:

— აქ მოტანილს ბაზრის არაფერი ურევია, შვილო. ინდაურებსაც მე ვზრდი, ქათმებსაც, ჩურჩხელებიც ჩემი გავლებულია, თაფლიც ჩვენი ფუტკრისაა, ხილიც ჩვენი ბაღისაა... შვილები ეყოლება, მივუტან, ვასიამოვნებ-მეთქი.

— წაიღეთ ყველაფერი! — ისევ იყვირა მამამ, წამოდგა, გაიხურა კარი. მივაყურადე. მეორე სართულზე ავიდა.

— რას ვიზამთ! — მხრები აიწურა ბიძაჩემმა, — ოჯახის უფროსია და უნდა დავუჯეროთ.

ხურჯინიც აიღეს, კალათაც, ინდაურიც აიყვანეს, ქათმებიც და წავიდნენ. ისე საცოდავად მიდიოდნენ, ისე მოკუზულები, კინაღამ ავტირდი.

— დედა, დავიტოვოთ, — შევეხვეწე.

— არ შეიძლება, შვილო, ხალხი იტყვის მამაშენზე, მექრთამეაო.

— ეგ ქრთამს არ ნიშნავს, — თქვა ბიძაჩემმა, — მე თქვენს ადგილზე ასე მოვიქცეოდი: მაგ მოსაკითხზე ხელს არ ვუკრავდი და ისეთ საჩუქრებს გავატანდი, თუნდაც შვილიშვილთან, მაგათი მოტანილის ღირებულებას ორჯერ მაინც რომ ჯადააჭარბებდა. ცოდვაა ხალხი!..

6

ის დღე რომ მახსენდება, ახლაც ცივი ჟრუანტელი მივლის. სკოლიდან ვბრუნდები, ვხედავ, ჩვენს ჭიშკართან ხალხი ირევა. ნაბიჯს ვაჩქარებ. თვალი რაც შემასწრეს, ყველა მე მომჩერებია. მოღიავებულ ჭიშკარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევდივარ — ორი მანქანა დგას ეზოში, „ვოლგა“ და „ჟიგული“, მილიციის მანქანაა ორივე. აივანზე ავდივარ. მაგიდას უზის დედა, ეტყობა, დიდი ხანია ტირის, ცრემლი გაშრობია. მაგიდაზე ყვავილების ლარნაკი დევს, შიგ ჩემი მომტვრეული ტყემლის, ალუჩის, ატმის აყვავებული ტოტები აწყვია. გათენდება და საწოლიდან ადგომა მიხარია — გაზაფხულის ხმაური, სურნელი, ფერები მეძახის გარეთ. და სწორედ ამ დროს მილიციის ფორმიანი კაცები აქოთებენ იქაურობას. მინდა ვკითხო, რას ეძებენ-მეთქი, მაგრამ ვერ ვახერხებ. არ ვიცი, რატომ ტირის დედა, რატომ არაფერს ეუბნება იმ კაცს, მაიორს — ისა უფროსობს: რა საკადრისია უცხო, სხვისა ოჯახში ასე შინაურულად ხელეშის ფათური! მაიორი ხშირად მოდიოდა ჩვენსა, ჩემს დაბადების დღეზეც იყო, მამაჩემის გვერდით იჯდა და ღიმილით ელაპარაკებოდა. მაგან არ მაჩუქა ოქროს ჯვარი?!. ანდრო ჰქვია, ანდრო ძია. თავზე მისვამს ხელს ანდრო ძია, თან დედაჩემს ეუბნება:

— რა ვქნა, ქალბატონო მზია, ჩემს ძალას არ აღემატებოდეს, ვინ მამაძაღლი, ამ თვალით მოვიხედავდი აქეთ!

დედაჩემი ხმას არ სცემს, ისეა შეწუხებული, დაპატარავებული მეჩვენება...

მოკლედ, გახსენებაც მზარავს და ამიტომ აღარ ვყვები დაწვრილებით — მამაჩემი ქრთამის აღებაზე დააპატიმრეს. იმდენი ფული წაიღეს ჩვენგან!.. რას წარმოვიდგენდი, ჩემს ოთახში, ძველ სკივრში თუ ინახავდნენ!..

ათი წელიწადი მიუსაჯეს მამაჩემს და კიდევ ქონების კონფისკაცია. მაგრამ ჩვენს ავეჯს, ძვირფასეულობას, ბროლსა და ფაიფურს არაფერი დაკლებია, ვინაიდან „დედაჩემის ნამზითვი“ იყო.

მთელი სოფელი მამაჩემზე ლაპარაკობდა. ეზოდან თითქმის აღარ გადიოდა დედა, თვალდათვალ ჩამოხმა და ჩამოჭკნა. ისეთი ნერვებაშლილი იყო, აქამდე ხელი რომ არ დაუკარებია ჩემთვის, ახლა სულ უბრალო რამეზე მცემდა.

მამა მენატრებოდა. რამდენჯერაც ვუთხარი დედას, წავიდეთ, ვნახოთ-მეთქი, ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებდა, იმ სიშორეზე წასვლა გაგვიჭირდებაო.

სკოლაში რომ მივდიოდი, ვგრძნობდი, ყველა მე მიყურებდა, ყველა მამაჩემზე ჩურჩულებდა. ზოგ-ზოგები ვითომ მომიკითხავდნენ ხოლმე, როგორა ხარო. უკვე ვხვდებოდი, ასეთი მოკითხვა ნიშნის მოგებას რომ ნიშნავდა. აღარც სტუმრები ჩანდნენ და აღარც ჩვენი ჭურჭელი, ავეჯი, ეზო და მსხმოიარე მსხლის ჩამოხლეჩილი ტოტი მოსწონდათ. მუსიკის მასწავლებელი კი ერთი თვის შემდეგ ისევ მოვიდა ჩვენსა, როგორც ადრე იცოდა, მიესალმა დედას, ორიოდე წუთით დაისვენა და მერე შევუდექით მეცადინეობას. დედამ მითხრა, საშუალება არ გვაქვს, მუსიკაში ვეღარ მოგამზადებო. ძალიან მეწყინა, მაგრამ სხვას რას ვეტყოდი, ალბათ ასე ჯობია-მეთქი. კინაღამ გულთმისნობა დავაბრალე მასწავლებელს — ასე არ ყოფილიყო, საიდან გაიგებდა, ზაფხულის იმ ღამეს რაზე ვლაპარაკობდით მე და დედა-ჩემი.

— ქალბატონო მზია, ძალიან გთხოვთ, ფული არ შემომაძლიოთ. არ ავიღებ.

— რაც აქამდე ამეცადინეთ, იმისას გადაგიხდით, ოღონდ მერე ნუღა მობრძანდებით, ამდენი საშუალება არა გვაქვს.

— ნიჭიერი ბავშვია და ცოდვაა, გზა გავუმრუდოთ. ამით იმას არ ვამბობ, უეჭველად დიდი მუსიკოსი დადგება-მეთქი, ეს უკვე მომავლის, ნიჭის განვითარების საქმეა, მაგრამ სმენა აქვს და ამასთან მეცადინეობა მეც მეხალისება.

— ჩემი არაფერი გმართებთ და არც უფლება მაქვს დაგეთანხმოთ.

— პიანინოს დაკვრა თუ ვერ აგიტანიათ, ჩემთან იაროს მაშინ.

— პირიქით, მარტო არ მტოვებს საკუთარ თავთან.

— მესმის თქვენი...

და ისევ ვმეცადინეობდი. მაგრამ მუსიკის მასწავლებელი მესამე წელიწადს თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და მეც იშვიათად ვიხედებოდი პიანინოსკენ.

გიაც ხშირად მოგვაკითხავდა ხოლმე, შოფერი. ისევ მეორე მდივანი დაჰყავდა იმავე „ვოლგით“. მოვიდოდა, ხილს მაინც მოაყოლებდა, დიდი ამბით მოგვიკითხავდა, მამაჩემის ამბავს გაიგებდა, ამოიოხრებდა და მიდიოდა. როგორ მწყდებოდა გული იმ „ვოლგის“ დანახვაზე!

ვიდრე მამა შინ იყო, მის ჭკუაზე დადიოდა დედა. ხანდახან კი შეუბრუნებდა სიტყვას, თუმცა მალევე ეთანხმებოდა. რაკი მამაჩემი დიდი კაცი იყო, ეგონა, ოჯახში დაბლა არ უნდა დაუშვან მისი სიტყვაო. ბოლოს ასეთი მორიდება უსიტყვო მორჩილებად გადაექცა. ახლა თავის ძმას უყურებდა, რას მირჩევს და როგორ გავაკეთოო.

ბებიაჩემის თქმისა არ იყოს, ღმერთო შეგცოდე—ჩემი მანამდელი წლებიდან ყველაზე ბედნიერი იმ ზაფხულს ვიყავი: დედას ხშირად იბარებდნენ, ხან მილიციაში, ხან პროკურატურაში, ხანაც თვითონ მიდიოდა სადღაც, ქმარს ეხმარებოდა ვითომ. მამაჩემის ძველი ნაცნობებიც ნახა, თანამშრომლებიც, უფროსებიც, ყველა იმას ეუბნებოდა თურმე, ისეთი აშკარაა ეგ საქმე, ისეა გახმაურებული, ვერაფერს ვუშველითო. ვერც უშველეს. ბიძაჩემი ურჩევდა, ნურც სხვას აწუხებ, ნურც შენ დაგ-



ლახაობო — არ დაუჯერა მანამდე, ვიდრე განაჩენი არ გამოუტანეს. თან არასოდეს წავუყვანივარ დედას — ბიძაჩემის სახლში მტოვებდა ყოველთვის. მეც ეს მინდოდა! მთელი ის ზაფხული ნახევარჯერ იქ ვიყავი, დაძინებით კი ჩვენსა მივყავდი დედაჩემს. ზოგჯერ იმ დროს მოდიოდა დედა, როცა მეძინა; მაშინ იქ იძინებდა თვითონაც.

ბიძაჩემი ალაზანზე, ფერმაში რომ დააპირებდა წასვლას, მე და დათოც წასასვლელად ვემზადებოდით.

„ჟიგული" კი ჰქონდა ბიძაჩემს, მაგრამ სატვირთო მანქანით დავდიოდით. დახურული სატვირთო მანქანა მაღაზიის წინ, ცაცხვებთან ჩერდებოდა და ზუსტად რვა საათზე ეშვებოდა ალაზნისაკენ — მეძროხეობისა და მეღორეობის ფერმის ხალხი მიჰყავდა, მიჰყავდა და მოჰყავდა. ძალიანაც გეხვეწნა, ხუთი წუთით არ მოიცდიდა შოფერი. თუ რვა საათამდე არ მოვიდოდა რომელიმე, ეს იმას ნიშნავდა, ან ავად იყო, ანდა თავმჯდომარეს დაეთხოვა იმ დღეს.

სატვირთო მანქანის ძარაზე პირველად რომ ავდიოდი კიბით, მეშინოდა, ხალხი მამაჩემზე დამიწყებს-მეთქი ლაპარაკს. მაგრამ ხმა არ ამოუღიათ ამაზე, სულ სხვა იკითხეს:

— შენი ბიჭის ამბავი მოგვეხსენება, ეს ჯეილი სადღა მიდის, ლევან?

— ფერმაში, გუშინწინ რომ მოიგო ნიშამ, იმ ფუჩინის გაცნობა უნდა.

— ადრე მოგებულებისა არაო?

— ჯერ ეს აინტერესებს. რა ვქნათ, ხალხნო, როინს ხომ არ ვთხოვოთ სახელის დარქმევა?

— ეგრე არ გამოვა, — თქვა ერთმა დედაკაცმა, —ამ კვირაში სამჯერ კიდევ თუ ნახავს, აი, მაშინ ნათლიაც იყოს.

— წამოვა, — გაუხარდა დათოს, — ყოველდღე ივლის!

— ყოველდღე არ მობეზრდება ფერმაში სიარული?

— შეიძლება, — თქვა ბიძაჩემმა, — მაგრამ ალაზანზეც ჩავალთ შუადღისას, ცურვა უნდა ისწავლოს.

— აქამდე არ უსწავლია, კაცო?! — გაიოცა აგრონომმა, საზაფხულო მსხალი დაგვიმყნო ერთხელ და იქიდან მახსოვდა.

— წინა ზაფხულის არდადეგებმა ისე ჩაიარა, ვერ მოვიცალეთ. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ახლაა დაგვიანებული.

ფერმაში მალე ჩავედით, მანქანიდან რომ ჩამოვედი, ქვევით ჭავიხედე და დიდი, დაბურული ტყე დავინახე.

— ალაზნის ჭალა ეგაა, — მითხრა დათომ, — მაგ ტყეში ჩამოდის ალაზანი. დიდი ხანია, წვიმა არ მოსულა, ისეთი კამკამა იქნება, თევზებსაც დავინახავთ შიგ.

თევზების დანახვა მაინცდამაინც არ გამიკვირდებოდა: ბელლის უკან მრგვალი აუზი გვაქვს, ცოცხალ თევზებს მოგვიყვანდნენ ხოლმე და იმ აუზში ვუშვებდით. ის თევზები, აუჰ, რა დიდები იყო! დღეში ორჯერ ვუყრიდით რაღაც მოთეთრო საჭმელს და ნელ-ნელა, გამოზოგვით ვიჭერდით. მამას უფრო შემწვარი თევზი უყვარდა. ანკესით კი არ ვიჭერდით, ბადურით ამოგვყავდა.

ერთმანეთზე გრძელი, შიფერით გადახურული სამი შენობა წაგრძელებულიყო — ეს არის ფერმაო, — მითხრა. ეზოში გამოეყვანათ ძროხები, ისეთი სუფთა იყო ყველა, თითქოს აბანავესო.

ბიძაჩემი ამ სამი შენობის გვერდით მდგარ ერთსართულიან შენობაში შეგვიძღვა. ოთახის კარი გააღო, შევიდა და შევყევით. ოთახში ტელევიზორი იდგა, რადიო, მაცივარი, ჭურჭლის კარადა, მაგიდა-სკამები, ორი საწოლი. კარგად დაესუფთავებინათ იქაურობა. ბიძაჩემმა ზურგჩანთა მაგიდაზე დადო, თეთრი ქათქათა ხალათი ჩამოიღო კაჩხიდან, გადაიცვა და კარი გამოაღო, წამოდითო.

წინა დღესაც ფერმაში იყო დათო, ამიტომ აღარ წამოგვყვა, ტელევიზორი ჩართო, კარგ ფილმს უჩვენებენო.

შევედით ფერმაში. ბევრი ბოჩოლა და დეკეული დაემწყვდიათ ცალ-ცალკე, არც ერთი არ იყო დაბმული. იმ სამი დღის ბოჩოლასთან მიმიყვანა:

— აი, შვილო, ესაა უსახელო ფუჩინა. თუ გინდა, შედი, მოეფერე.

მოღობილში შევძვერი. ჯერ არაფერი გაეგებოდა შიშისა და დიდი, ბრიალა თვალებით მომჩერებოდა. ხელი რომ შევახე, შემომხედა და შემომზმუვლა. ისეთი ლამაზი იყო, კისერზე მოვეხვიე და შუბლზე ვაკოცე. ღიმილით მომჩერებოდა ბიძაჩემი.

შენობის ბოლოში ხალხი საქმიანობდა. რომ დაგვინახეს, ჩვენკენ წამოვიდნენ. ერთი კაცი იყო — ჩემი ჯგუფელის, მამუკას პაპა, სამი კიდევ ქალი.

მამუკას პაპამ შორიდანვე მიცნო.

— როინს გაუმარჯოს!.. ეგრე, შე კაი კაცო, სოფლელი კაცი ხარ და სოფლის ყოფა-ცხოვრებას არ უნდა იცნობდე? ყოჩაღ, რომ ჩამოხვედი!

— ამის შემდეგ ხშირად ივლის, — უთხრა ბიძაჩემმა, — მოგვეხმარება კიდეც. ჯერჯერობით არ სცალია საჩვენოდ, ცურვა უნდა ისწავლოს.

— წყლისა თუ არ ეშინია, მალე ისწავლის.

— ხომ არ დაგავიწყდა, ჩემი დისწული რომ არის?

— ეგ კი ნამდვილად დამავიწყდა, რაზედაც, ძვირფასო ადამიანო, უღრმეს ბოდიშს გიხდი!.. წეღან ქალები ამბობდნენ, ამასო, ამ საფურეს, ნათლია გამოუჩნდაო. მართალია ვითომ?

— ეგრეა, როინზე გეტყოდნენ მაგას. რა დავარქვათ, შვილო?

— ფოთოლა! — მაშინვე წამოვიძახე.

— ეგე, ჰა, ამდროულა კაცი ვარ და ასეთ მშვენიერ სახელს ვერც მე მოვიფიქრებდი!.. მაშ, აგვიღია დაბადების მოწმობა! — მამუკას პაპამ ავტოკალამი და უბის წიგნაკი ამოიღო ჯიბიდან.

შუადღემდე სულ ბიძაჩემს დავყვებოდი, ერთი წუთითაც არ მოვცილებივარ. ერთი ფური ავად არისო და, ვუყურე, როგორ გასინჯა ბიძაჩემმა ფონენდოსკოპით, როგორ დაკვირვებით გასინჯა და დიაგნოზიც დაუსვა, გაციებულიაო. წამალი წყალში გაურიეს და ისე დაალევინეს.

შუადღისას იმ ტელევიზორიან ოთახში ვისადილეთ და მერე წავედით საბანაოდ.

სამანქანე გზიდან ველობში გადაუხვია ბიძაჩემმა.

— მაქეთ საით მიხვალ, მამი? — ჰკითხა დათომ, — მოკლეზე ჩავლა არ სჯობია?

— წამოდით, — მშვიდად თქვა ბიძაჩემმა, ბალახს დაწვდა, მოწყვიტა და მიჩვენებს, — ამას შალაფა ჰქვია, დიდი ოხერი სარეველაა, ერთი და ერთი თუ გაიდგა ბორჯი, ძნელად თუ გააგდებ ვენახიდან. — მერე სხვას დაწვდა, მერე კიდევ სხვას. — ეს მწყრისფეხაა, ეს სალამურა, ძურწა, ხვართქლა, ულეწელა, რძიანა, ღორის ქადა, ბარდალო... რამდენი ხანია, აღარ მინახავს ბარდალო... ესა ბებრიკონკაა, ეს — ბალბა, ბოლოკა, იაჟუჟუნა, ეს კიდევ — ვირის ტერფა...

მეც ყველას ვაკვირდებოდი და სახელებსაც ვიმეორებდი.

ისე გაგვეპარა დრო, უცებ, მოულოდნელად ჩავედით ჭალაში. ალაზნის ჭალასა და ალაზანს პირველად ვხედავდი, პირველად ვიგრძენი ალაზნისა და ჭალის სურნელი, რომლის მსგავსი აღარსად შემხვედრია, და არც დამავიწყდება ოდესმე!

გაშლილ მოლივლივებდა ალაზანი, ისე მიიწევდა მარცხნივ, ვიფიქრე, მგონი ჩვენ გაგვირბის-მეთქი. მდინარის ქვა-ხვინჭიან ნაპირს მივუყვებოდით. ასე ვიარეთ ათიოდე წუთი, მერე ბილიკს გავყევით. ის ბილიკი ლაქაშებში შევიდა და სულ ცოტა ხნის შემდეგ ისევ მდინარეს მიადგა. დათომ ტანისამოსი გაიხადა და ტრუსის ამარა გადაეშვა წყალში. მეც გავიძრე ტანსაცმელი და დანდობილად შევდგაფუნდი. რაკი ბიძაჩემი იქ იყო, არაფრის არ მეშინოდა! მალე ბიძაჩემიც შემოვიდა წყალში.

დასასრული შემდეგ ნომერში

სპორტლოტი

ნოზაძე ბეიბუტი

მარატ კაზეი

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ბელორუსი პიონერი მარატ კაზეი სტანკოვოს საშუალო სკოლის მეოთხე კლასში სწავლობდა. გაბედული, საზრიანი და, ამასთან, მეცნიერ ბიჭი იყო მარატი, სულ სახიფათო თავგადასავლებზე, გამოძიებებზე, მოგზაურობაზე ოცნებობდა, პავლე კორჩაგინი და ვალერი ჩკალოვი იყვნენ მისი იდეალები.

სტანკოვო საზღვრისპირა სოფელია და მან ომის პირველსავე დღეს განიცადა მტრის ვერაგული თავდასხმის სიმწარე. შეიძლება ითქვას, მარატი, აგრეთვე მისი დაი და დედა 22 ივნისის დილიდანვე ჩაებნენ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. დედა ადრე დაიღუპა, და-ძმამ კი პარტიზანულ რაზმს მიაშურა და შაშხანა აიღო ხელში.

მარატი ერთი კაფანდარა, თითქოს სუსტი და უღონო ბიჭი იყო, მაგრამ სინამდვილეში კარგი მხედარი, ზუსტი მსროლელი, გაბედული და გამძლე მებრძოლი გამოდგა. საოცრად მახვილი თვალი და ბრწყინვალე მეხსიერება ჰქონდა. ჩაიცვამდა დაკონკილ ტანსაცმელს, შეიპარებოდა მტრის განლაგებებში, ერთს შეავლებდა თვალს და უკვე იცოდა, სად რა და რამდენი ქვემეხი იდგა, როგორ იყო შენიღბული საცეცხლე წერტები, სად ეყენათ გუშაგები. მერე ამ ცნობებს რაზმის შტაბში მიიტანდა და პარტიზანთა ყოველი დარტყმა მტრისთვის მოულოდნელი და გამანადგურებელი აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ჯოჯაკავშირი

ჯოჯაკავშირი

ახალ ცხოვრებას აშენებს

საქართველოს კომკავშირის მუზეუმის რომელ კუთხეშიც უნდა შეჩერდეთ, რა საექსპოზიციო მასალებსაც უნდა ათვალიერებდეთ, გონება მაინც დაგაბრუნებთ ბორის ძნელაძის სახელთან. რადგანაც რესპუბლიკის ყველა თაობის ქალიშვილებისა და ჭაბუკების საქმიანობას მუდამ თან ახლდა და ახლავს მისი მგზნებარება, შემართება და შეუპოვრობა. ბორის ძნელაძეს „საქართველოს კომკავშირულ სინდისს“ უწოდებენ. დიახ, ამ მტკიცე მარქსისტ-ლენინელმა, რესპუბლიკის ახალგაზრდობის ლიდერმა, ენერგიულმა და ნიჭიერმა ორგანიზატორმა თავისი ხანმოკლე, მაგრამ გმირული ცხოვრებით სავსებით დაიმსახურა ეს მრავლისმთქმელი წოდება. 16 წლისა იყო ბორისი, როცა რევოლუციურ სულისკვეთებით გამსჭვალულმა საქართველოს ახალგაზრდობამ თავის წინამძღოლად აღიარა. რევოლუციის, პარტიის საქმის სამსახურში დაიფერფლა 22 წლის ბორის ძნელაძის სიცოცხლე, ხოლო მისი სახელი კომუნისტური სისპეტაკის, სიმტკიცისა და თავდადების სიმბოლოდ შემორჩა საქართველოს კომკავშირის ისტორიას...

საქართველოში მტკიცედ მკვიდრდებოდა საბჭოთა ხელისუფლება, ხალხი ახალ ცხოვრებას აშენებდა. რესპუბლიკა ლენინური გოელროს გეგმის ხორცშესხმას შეუდგა, დაიწყო საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის პირმშოს — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აგება.

მრავალმხრივ ღირსსახსოვარ, ისტორიულ ფოტოსურათზე წერაქვებითა და ნიჩბებით შეიარაღებული ხალხია აღბეჭდილი. ესენი ზაჰესის მშენებლობაზე მოწყობილი პირველი შაბათობის მონაწილენი არიან. 4500-ზე მეტი კაცი გამოვიდა 1922 წლის 10 სექტემბერს ჰიდროელექტროსადგურის საძირკვლის ჩაყრაზე, უმრავლესობა ახალგაზრდები და კომკავშირელები იყვნენ. სერგო ორჯონიკიძის, სერგო ქავთარაძისა და სხვა ცნობილი პარტიული მუშაკების მხარდამხარ შრომობდნენ რკინიგზის მთავარი სახელოსნოების კომკავშირელები: შალვა ჯლანტიაშვილი, გიორგი კაზაზაშვილი, ლადო სულთანიშვილი, ერმალოზ კაციტაძე; დეპოს მუშები: გაბო ტატანაშვილი, ბიჭიკო კალაძე, საშა ჯანვერდაშვილი და სხვები. აქედან დაიწყო ის შრომითი ესტაფეტა, რომელიც საქართველოში პირველი საკავშირო დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის — რიონჰესის ახალგაზრდობამ ჩაიბარა და რომელიც შეუბღალავად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, ხოლო დღეს ბამის, ურენგოის, ტიუმენის მშენებლობებზე წარგზავნილ ქართველ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს უპყრიათ ხელთ.

კვლავ ფოტოსურათები. ისინი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის კომკავშირელთა აღმშენებელ, ახალი ცხოვრების დამამკვიდრებელ საქმიანობაზე მოგვითხრობენ — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. 1922 წ.; მეთაურთა ქართული სამხედრო სკოლის პირველი გამოშვება, 1922 წ.; კომკავშირული აგიტბრიგადა, 1923 წ.; პიონერული პარადი თბილისში, 1925 წ.; ბორჯომელი კომკავშირელები

ბევრი სასახელო საქმე ჩაიდინა ნორჩმა პარტიზანმა, ბევრი ფაშისტი მოსპო, ზოგი მოენედაც წამოიყვანა. დიდძალი სამხედრო ტექნიკა ჟაანადგურა. მაგრამ ახლა მისი საბრძოლო ცხოვრების მხოლოდ ერთ ეპიზოდს მოგიყვებით.

1944 წლის მარტის დასაწყისი იდგა. პარტიზანები ერთ ტყისპირა სოფელში იყვენ დაბანაკებულნი. ვიღაც მოღალატემ ფაშისტებს მათი ადგილ-სამყოფელი აცნობა. გერმანელებმა სამხედრო ხერხი იხმარეს — ქალის ტანსაცმელი გადაიცვეს, ხელში შეფუთული „ჩვილი ბავშვები“ — ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ხელყუმბარები, ნაღმსატყორცნები — დაიკავეს და სოფელში შევიდნენ. პარტიზანები გვიან მოეგნენ გონს, მაშინ, როცა უკვე ალყაში იყვნენ მოქცეულნი, გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. გერმანელები გაცილებით

შაბათობაზე, 1927 წ.; გაგრელი კომკავშირელები შაბათობაზე, 1929 წ...

აქვეა მხატვარ ირაკლი თოიძის ნახატის რეპროდუქცია — ახალგაზრდა ხევსურ ქალს ზურგზე ბავშვი ჰყავს აკიდებული, ხელში კი წიგნები და გაზეთები უჭირავს. ეს გახლავთ იმ წლებში წერა-კითხვის უცოდინარობასთან დაწყებული საყოველთაო ბრძოლის სიმბოლური გამოხატულება. დღეს ძნელი დასაჯერებელია, რომ 1921 წლისთვის საქართველოს კომკავშირელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარი იყო 876 კაცი, წერა-კითხვის მცირემცოდნე — 1948, წერა-კითხვის მცოდნე კი — 501. უწიგნურობის სალიკვიდაციოდ გაშლილმა მოძრაობამ შედეგად ის მოიტანა, რომ მალე საქართველოში თითქმის აღარავინ დარჩა წერა-კითხვის უცოდინარი.

30-იანი წლები. საქართველოს ახალგაზრდობა ენერგიულად ჩაება დაქუცმაცებული, ინდივიდუალური სოფლის მეურნეობის კოლექტიურ, სოციალისტურ მეურნეობად გადაქცევის საქმეში. ძნელი და მტკივნეული იყო ეს პროცესი, სოფლად კოლექტიური შრომის დამკვიდრებას ბევრი სირთულე ახლდა, მაგრამ ახალგაზრდობა წარმატებით სძლევდა მათ. 1933 წელს საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებზე 38 366 კომკავშირელი შრომობდა. ქალაქებში კი ინდუსტრიალიზაციის მძლავრი სუნთქვა იგრძნობოდა. 1933 წლის 30 ოქტომბერს საქართველოში პირველი საბჭოთა ფერომანგანუმი მიიღეს. დიდი წვლილი შეიტანა ამ მრავლისმეტყველ გამარჯვებაში რესპუბლიკის კომკავშირმა — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშების 90%-ს ხომ ახალგაზრდობა შეადგენდა. თავდაუზოგავად, კომკავშირული შემართებით შრომობდნენ ქართველი ახალგაზრდები ჭიათურის, ტყიბულის, ტყვარჩელის მაღაროებში, რიონჰესის და ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობაზე.

1935 წ. 31 აგვისტოს ახალგაზრდა დონბასელმა მეშახტემ ალექსი სტახანოვმა ერთ ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი მოანგრია და 14-ჯერ გადააჭარბა ნორმას. საქართველოდან სტახანოვს პირველი ჭიათურის მანგანუმის მაღაროს მნგრეველი, კომკავშირელი ვასილ სამხარაძე გამოეხმაურა, რომელმაც გეგმური 9 ტონის ნაცვლად 51 ტონა მანგანუმი მოანგრია და 561%-ით გადააჭარბა გეგმას. სახელი გაითქვეს სტახანოვური მოძრაობის სხვა აქტიურმა მონაწილე კომკავშირელებმა: უშა ახუბამ, დავით სეფერთელაძემ, მართა ცინცაძემ, აიშე გურგენიძემ, მიხეილ სალაძემ, ათასობით სხვა მათმა თანატოლმა.

სასახელოდ შრომობდნენ ქვეყნის დამკვრელურ მშენებლობებზე კომკავშირის საგზურებით მივლინებული ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც აშენებდნენ ახალ ქალაქებსა და ქარხნებს, ჰიდროელექტროსადგურებს, ხიდებს, სარკინიგზო მაგისტრალებს. მაგნიტკის მშენებლებს მხარში ედგა ბაქოელი კომისრის, ალიოშა ჯაფარიძის ქალიშვილი ელენე ჯაფარიძე.

გრანდიოზული ცვლილებები ხდებოდა 30-იან წლებში ქვეყნის და, მაშასადამე, ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაშიც. თამამად გამოდიოდნენ შემოქმედებით ასპარეზზე ახალგაზრდა მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები. სწორედ იმ წლებში გაიცნო ქვეყანამ ვიქტორ კუპრაძე, ვაჰან მამასახლისი, ირაკლი აბაშიძე...

დიდი აღმავლობა დაეტყო ახალგაზრდების სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური კულტურის განვითარების საქმეს. ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი ჩაება მრავალრიცხოვან სამხედრო წრეებში, ახალგაზრდები ეუფლებოდნენ საპარაშუტო სპორტს, სწავლობდნენ სროლას. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 26 ნოემბრის დადგენილებით შემოღებულ იქნა ახალი კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის", რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამხედრო-პატრიოტული მუშაობის გაუმჯობესებას.

სჭარბობდნენ ჩვენებს. პარტიზანების ხსნა მხოლოდ მეზობელ რაზმს შეეძლო. ორი მალემსრბოლი, რომლებიც მეთაურმა მაშველისთვის აფრინა, მტრის ტყვიამ იმსხვერპლა. მაშინ მარატი მოახტა თავის ბედაურს და ტყვიის წვიმაში გააღწია ალყიდან. მაშველმა სულზე მოუსწრო პარტიზანებს, და მათ საერთო ძალით გაანადგურეს გერმანელები.

მარატ კაზეი ერთ-ერთ ცხარე ბრძოლაში დაეცა გმირული სიკვდილით 1944 წლის 11 მაისს.

გამოჩენილი ვმირობისა და მამაცობისათვის ნორჩი პიონერი მარატ კაზეი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენითა და მედლებით, მოგვიანებით კი მას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

ნუგზარ
აფხაზავა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზრდადიან მოვალეობის პოსტრუქტორები

ხომ ბედნიერებაა, როცა ხედავ, როგორი ზრდილი და განათლებული, დიდი ცოდნით შეიარაღებული და მახვილი თვალისა და ჭკუის პატრონია შენი ახლობელი — ძმა, შვილი, მეგობარი, თანამოქალაქე, თანასოფლელი! მისი შემხედვარე, შენც უფრო მაღლდები, ღონიერდები, იხვეწები, უკეთესდები...

ჰოდა, წარმოიდგინეთ, წელს, გაზაფხულზე, მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის ნორჩ ტექნიკოსთა პავილიონში ჩვენი ბავშვების — თქვენი თანატოლების — ნორჩ კონსტრუქტორთა ბრწყინვალე ნამუშევრები რომ ვიხილე, რა სიხარულით ამევსებოდა გული, როგორი სიამაყით გადავხედავდი ამოდენა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დიდ-პატარა დამთვალიერებლებს!..

ამ გაზაფხულზე რომ პავილიონი დავათვალიერე, იმ მომენტში იქ ჩვენი ნორჩი ტექნიკოსების სამი ნახელავი ვნახე: თბილისელ ნორჩ ტექნიკოსთა კომუნალური ტროლეიბუსი „მოიდოდირი“ (ავტორები: ზ. ციკოლია, ზ. ახალაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ნ. წიქარიძე, კ. მამედაშვილი, რ. მნაცაკანიანი; ხელმძღვანელი — ნოდარ ინჯია); ქუთაისელ ნორჩ ტექნიკოსთა „ემოციამზომი“ (ავტორები: დ. მუშკუდიანი, ლ. ხონელიძე, გ. ჭოხონელიძე, ა. ხახალიშვილი; ხელმძღვანელი — პროკლე ზაქარეიშვილი) და „ხელის ვენტილატორული მფრქვევანა“ (ავტორები: მ. ჭიხორია, ზ. გეგუჩაძე, მ. ქართველიშვილი, ა. მახარაძე; ხელმძღვანელი — გივი სიხარულიძე).

სამი ექსპონატი — ნორჩ ტექნიკოსთა და მათი ხელმძღვანელების

სწორედ ეს საქმიანი, ფიქრიანი უმაწვილები არიან ჩვენი მომავლის კონსტრუქტორები

ერთობლივი ხანგრძლივი ფიქრის, აქტიური ძიების, დაძაბული კოლექტიური შრომის ხელშესახები შედეგი და ნაყოფი...

ნორჩი ტექნიკოსი ყველა ვერ გახდება.

სურვილი — საჭიროა, მაგრამ არ კმარა.

ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის ცოდნა — აუცილებელია, მაგრამ არ კმარა.

ე. წ. ტექნიკურ-კონსტრუქტორული აზროვნების უნარი — აუცილებელია, მაგრამ არ კმარა.

ყველაფერ ამას უნდა დაემატოს დისციპლინის, თავაუღებელი მუშაობის, მოთმინების უნარიც.

ეს გახლავთ თბილისელ და ქუთაისელ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების სხვადასხვა წრის ხელმძღვანელთა — ნოდარ ინჯიას, პროკლე ზაქარეიშვილის, გივი სიხარულიძის, ვაჟა ფრუიძის, გენო ჯიშკარიანის თუ სხვათა — ერთობლივი აზრი.

ამავე აზრს უყოყმანოდ იზიარებენ ზემოჩამოთვლილ ექსპონატთა ავტორები, აგრეთვე სხვა ნორჩი ტექნიკოსებიც, რომელთაც თბილისსა და ქუთაისში გავესაუბრე.

კომუნალური ტროლეიბუსი...

ეფექტურია (ჯაგრისითა და მტვერსასრუტით ასუფთავებს ქუჩას; რწყავს; რეცხავს; წმენდს თოვლისაგან; ადეზინფექცირებს); პრაქტიკულად უხმაუროა; ეკოლოგიურად უვნებელია; ეკონომიურია; სწრაფია.

ემოციამზომი...

ადამიანის ნებისმიერი ემოციური აღგზნების, ნერვული დაძაბულობის შედეგად სხეულის ოფლის ჯირკვლები უფრო ინტენსიურად მუშაობენ, რაც იწვევს ადამიანის კანის წინაღობის შემცირებას. ხელსაწყო სწორედ ამ წინაღობას ზომავს. ერთი ელექტროდი მაგრდება, ვთქვათ, ხელისგულზე, მეორე — ზურგზე. პოტენციომეტრ R_4-ის მეშვეობით ხელსაწყოს ისარს P_2-ს აყენებენ 0 დანაყოფზე. გამაღიზიანებლის წარმოქმნისას ისარი გადაიხრება. გადახრა მით უფრო მეტია, რაც უფრო ემოციურია ადამიანი.

ხელის ვენტილატორული მფრქვევანა...

მისი დანიშნულებაა ფხვიერი გოგირდის შეფრქვევით შეწამლოს ხეხილი, ვენახი, ბოსტნეული. იგი შრომას უმსუბუქებს ოპერატორს, ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს მის პირობებს, არ არღვევს უსაფრთხოების წესებს. გაფრქვევის მანძილი ამჟამად 3,5 მეტრია. მომავალში იგი 5-6 მეტრს მიაღწევს.

თავისთავად ცხადია, საკავშირო გამოფენაზე წარდგენილი ამ სამი ექსპონატით როდი ამოწურულა და დამთავრებულა თბილისელ და ქუთაისელ ნორჩ ტექნიკოსთა საქმიანობა.

ყველა ფაქტის ჩამოთვლა, ყველა ხელსაწყოს, ინსტრუმენტის თუ მოდელის არათუ აღწერა, დასახელებაც კი, ჰაუ, სად წაგვიყვანდა!

ამიტომ მხოლოდ მოკლე საუბრით — რამდენიმე მოდელით, ციფრითა და ფაქტით — დავკმაყოფილდეთ.

დედაქალაქის (ისევე, როგორც ყველა სხვა დიდი ქალაქის) კომუნალურ სამსახურს უამრავი ფუნქცია აკისრია. ყველაფრისათვის თავის გართმევა ძნელი საქმეა. თბილისის 50-ე საშ. სკოლის მოსწავლე ალექსანდრე ერემეევმა შექმნა „კომუნალური ავტომობილის“ მოდელი, რომელიც საბინაო-საექსპლოატაციო უბანს მოემსახურება. მოდელი გამოფენილი იყო არა მარტო საკავშირო გამოფენის 1-ელ პავილიონში, არამედ „ირ-88“ საერთაშორისო გამოფენაზეც, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ასევე, დამსახურებული წარმატება მოიპოვა თბილისის 169-ე საშუალო სკოლის მოსწავლე კობა ტორიკაშვილის „ასიმეტრიულმა მინიფრეზმაც“, რომელიც ჩაის ბუჩქების, დაბალი ხეხილის, ვაზის ძირების სარეველათაგან გასაწმენდადაა განკუთვნილი.

საკავშირო და საქართველოს კომკავშირის სიგელებით და გამოფენათა მედლებით სხვადასხვა დროს დაჯილდოვდა ქუთაისელ ნორჩ ტექნიკოსთა „ნიადაგის ტენმზომი“, „ლითონალმომჩენი“, „ფხვიერ მასალათა ტენმზომი კარბიდულ-აირული მეთოდით“ (ხელმძღვ. პ. ზაქარეიშვილი), „გალვანური საფარის



სისქის მაგნიტური მზომი“, „პედ-ის სისტემის ელექტროძრავათა სტატორის გულანას განათების სისტემა“ (ხელმძღვ. გ. სიხარულიძე), „დედის თანაშემწე“, „ავტომატიზებული გარაჟი“, „გაუმჭვირვალ მასალათა მთვლელ-მახარისხებელი“ (ხელმძღვ. ვ. ფრუიძე)...

მარტო ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გამომგონებელთა და

გგერათგენერატორი გამართულად მუშაობს! — უხარია ალეკო სიხარულიძეს (ქუთაისი, მე-9 საშუალო სკოლა, VII კლასი)

რაციონალიზატორთა წრის წევრებმა 1986-87 წლებში წარადგინეს 4 განაცხადი გამოგონებაზე და დაამუშავეს 10 რაციონალიზატორული წინადადება. მათ ივალდებულეს, რომ 1988-90 წლებში 15 რაციონალიზატორულ წინადადებას დაამუშავებენ...

●

ხელსაწყოს თუ მექანიზმის შექმნა თვითმიზანი ან მიზნის ბოლო წერტილი როდია. ყოველი მოდელი ხორცშესხმისაკენ მიისწრაფვის, იგი, ბოლოს და ბოლოს, რეალურ ინსტრუმენტად თუ მანქანად უნდა იქცეს, რომელიც სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგს გამოადგება.

ასეთი მომავალი აქვს, მაგალითად, ზემოთ ნახსენებ „კომუნალურ ავტომობილს“, „აკვაპლანს“ (იგი შარშან ინდოეთში, საერთაშორისო გამოფენაზეც იყო გაგზავნილი), „სახანძრო ავტომობილს“, რომელიც ცეცხლმქრობი სითხით სავსე ჭურვებით „ბომბავს“ ხანძრის კერას (ეს მოდელი საქ. სსრ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სატრანსპორტო ლაბორატორიაშია შექმნილი); იგივე მომავალი აქვს, მაგალითად, „ხელის ვენტილატორულ მფრქვევანას“ თუ „ავტომატიზებულ გარაჟს“, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ...

ამასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ფაქტზე შევჩერდეთ:

ქუთაისის ტექნიკის სახლში მოწყობილ გამოფენაზე ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორის ყურადღება მიიქცია ქალაქის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წრის ერთ-ერთმა ექსპონატმა, რომელიც წარმოადგენდა პედ-ის ტიპის ძრავათა ჩახვევის ახალი კონსტრუქციის ნათურას. დირექტორის ინიციატივით ნორჩ ტექნიკოსთა სადგურთან დაიდო ხელშეკრულება 70 ცალი ასეთი დეტალის დამზადების შესახებ; შეკვეთა ზაფხულის არდადეგების განმავლობაში უნდა შესრულდეს. მიღებული თანხის (3 ათასი მანეთი) ნაწილი მოხმარდება წრისთვის დეტალებისა და მასალების შეძენას, ნაწილით კი მოსწავლეებს ბანკში გაეხსნებათ ანგარიში. თანხას ისინი სკოლის დასრულების შემდეგ მიიღებენ. ერთი სიტყვით, იგებს საწარმოც და ნორჩ ტექნიკოსთა წრეც. ასე რომ, თავიანთი საქმიანობით, ცხადია, კმაყოფილი უნდა იყოს გ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით შემდგარი „დროებითი შრომითი კოლექტივი“: გ. გეგუჩაძე, მ. ქართველიშვილი, ა. მახარაძე, მ. ჭიხორია (გახსოვთ? — „ხელის ვენტილატორული მფრქვევანას“ — შემქმნელები არიან), ა. ჩიხლაძე, თ. მურღულია, პ. რუხაძე, ლ. ერისთავი, ე. გურგენიძე.

თამამად შეიძლება ითქვას — მონდომება და დაინტერესება თქვი, თორემ თბილისელ და ქუთაისელ ნორჩ ტექნიკოსთა თითქმის ყველა ნამუშევარი შეიძლება დაინერგოს სერიულ წარმოებაში... იგივე ითქმის თბილისის უნივერსიტეტის მეოთხეკურსელის, ნიკა ბენდელიანის ხელმძღვანელობით შექმნილ საყოფაცხოვრებო კომპიუტერზე, რომლის წარმატების ამბავსაც, ეტყობა, მალე შევიტყობთ...

●

„შრომა აკეთილშობილებს ადამიანს!“ — ეს ძველისძველი შეგონებაა.

თავიანთი უნარიანი, საქმის მცოდნე და ჭეშმარიტი პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოებული ხელმძღვანელების მეოხებით ნორჩი ტექნიკოსები იძენენ დისციპლინის, ყურადღების, არაარსებითთაგან არსებითის გამორჩევის, კოლექტიური შრომის, სიზუსტის, სიფაქიზის ჩვევებს. ამას აღიარებენ კ. ტორიკაშვილი თუ ზ. ციკოლია, ა. ერემეევი თუ ზ. ახალაშვილი, დ. მუშკუდიანი თუ ლ. ხონელიძე... მთავარი სწო-



ქუთაისი

ამ ხელსაწყოთი ნიადაგის ტენიანობის ხარისხი იზომება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ ამ უნარ-ჩვევათა გამომუშავებაა, თორემ სავალდებულო როდია, ყოველი მათგანი ინჟინერი თუ რაციონალიზატორ-გამომგონებელი გახდეს... ლაშა ხონელიძე, მაგალითად, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე აპირებს შესვლას; დათო მუშკუდიანს სამხედრო-დიპლომატიური სამსახური იზიდავს; ნოდარ ინჯიას თორმეტმა მოსწავლემ სამხატვრო აკადემია დაასრულა დიზაინის ხაზით; ზ. ციკოლიაც, სხვათა შორის, იმავე გზაზე აპირებს შედგომას...

მერე რა, თუ ყოველი მათგანი კონსტრუქტორი არ გახდება! თითოეულ მათგანს თავისი გზა აქვს. საერთოდ კი ყველანი მომავლის კონსტრუქტორები არიან...

●

თითქმის 65 წლის წინათ ვ. ი. ლენინი წერდა:

„შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოების იდეალი ახალგაზრდა თაობის საწარმოო შრომისა და სწავლების შეერთების გარეშე“.

ეს სიტყვები განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის საოცარი აღმავლობის ეპოქაში, ჩვენი სკოლის რეფორმის ვითარებაში.

ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები თავისი საქმიანობით, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ლენინის ამ თეზისის განხორციელებას ემსახურებიან.

უეჭველია ერთი რამ: თბილისისა და ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ისეთი ენთუზიასტები მუშაობენ, რომ მოკლე ხანში მათი აღსაზრდელებისაგან კიდევ უფრო მეტ წარმატებებს უნდა ველოდოთ.



ვენტილატორული მფრქვევანა დიდ სამსახურს გაუწევს მევენახეებს

„მწვანილი ყოველდღე“

ქვეოჯახი ქვეოჯახისთვის

იმ მრავალრიცხოვან წერილთა შორის, რომელთაც ჩვენი ჟურნალის მკითხველები გვიგზავნიან, ამჯერად ორი ამოვარჩიეთ. ერთი მერაბისაა (გვარს არ აწერს), მეორე — ლალისა (არც იგი ამჟღავნებს თავის გვარს). ორივე წერილი მეგობრობას ეხება.

„პატივცემულო რედაქცია! — იწერება მერაბი. — მე მერვე კლასში ვსწავლობ. ჩვენი კლასის ბიჭებთან ამხანაგურად ვარ, მაგრამ არავისთვის უპირატესობა არ მიმიცია, რომ ან რაიმე საიდუმლო გამენდო, ან მასთან ერთად მეოცნება, ან სადმე სამოგზაუროდ წავსულიყავით, ან ისეთი რამ გაგვეკეთებინა, ვინმე გაგვეოცებინა, თავი გამოგვეჩინა. არაფერი ასეთი არ მომხდარა, მეგობრობის ფასიც არ ვიცოდი. ის კი არა და, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი კლასელი ბიჭები ერთმანეთს ხშირად ეჩხუბებიან, მე უბნის ბიჭებთან უფრო ახლო ვარ, მათთან ერთად ვთამაშობ ფეხბურთს, კალათბურთს... ერთხელ უბნის ბიჭებმა ვიღაც უცხო ბიჭი მოიყვანეს ფეხბურთის სათამაშოდ. გია ჰქვია, შავტუხა, შეუხედავი ბიჭია. მოიყვანეს იმიტომ, რომ ჩვენთვის ფეხბურთის თამაშის „კლასი“ ეჩვენებინა. თამაშობს, რას თამაშობს! ნამდვილი ოსტატია. ახლა რა გულკეთილია! უცხოური მაისური ეცვა. სად იყიდე-მეთქი, ვკითხე. ბიძამ ჩამომიტანა საზღვარგარეთიდანო. ჩემდა უნებურად ამოვიოხრე. მოგწონსო? მომწონს-მეთქი, არ დავუმალე. რახან მოგწონს, შენი იყოსო, მაშინვე გაიძრო და მაჩუქა. ბიჭებმა თვალები დააჭყიტეს. განა მაისურის ჩუქებაშია საქმე? ასეთი გულკეთილი კაცი შენთვის სიცოცხლესაც არ დაიშურებს და არც შენ დაიშურებ მისთვის რაიმეს. დავმეგობრდით.

მაგრამ მალე მოხდა ისეთი რამ, რამაც გული მატკინა. ჯერ იმ მაისურზე ერთი ამბავი ამიტეხეს შინ, მამა იქედან მიტევდა, დედა — აქედან. ვისია, ვინ მოგცა, ახლავე დაუბრუნეო. რა მექნა, აღარ ვიცოდი. სიმართლე ვუთხარი და არ დამიჯერეს. დაბრუნებით კი როგორ დავუბრუნებდი... ამას ისიც დაემატა, რომ, ერთხელ დედაჩემი ქუჩაში გიასთან ერთად მომავალს შემომეფეთა. შევატყვე, რაღაც ამრეზით შეხედა გიას. მერე მისიც არ მოერიდა, დამიტია, ახლავე შინ წაეთრიეო. საღამოს კიდევ შინ გამიმართა „სცენები“, მომდგა, იმ ბანდიტთან რა გინდოდა, ვინ არის, ის რა შენი ამხანაგიაო... მერე მამაჩემს მიუბრუნდა და რაღაც საშინელება აუწერა, ასეთი და ასეთი ბიჭია და ეს ჩვენი უმაწვილი იმას გადაჰკიდებიაო. მე ცეცხლი მეკიდა გულზე. ბიჭების საყვარელ გიაზე ამას რომ ამბობდა, მაგრამ რა მექნა... განა ასე შეიძლება? განა გარეგნობით იცნობა ადამიანი? ჩემი ძმობლები მიშლიან გიასთან სიარულს. მათ არც კი იციან, რა კარგი გულის ბიჭია, როგორ უყვართ ამხანაგებს! არც უნდათ, რამე გაიგონ... შეუხედავია, მორჩა და გათავდა. რახან შეუხედავია, ბანდიტია?.. რა ვქნა, არ ვიცი... არც ის მინდა, დედ-მამას ვაწყენინო და გიასკენაც მიმიწევს გული...“

სიტყვა **მეგობარი** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი: გულითადი ამხანაგი, ჭირისა და ლხინის მოზიარე.

დიდი რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ მეგობრობისა და სიყვარულის საგალობელია. ადამიანი ამ პოემაში ამოიკითხავს, თუ რა სასწაულთმოქმედია მეგობრული სიყვარული, თუ რა აუცილებელია მეგობრობა თავისი სიღრმითა და სილამაზით ადამიანის ცხოვრებაში.

უმეგობრო კაცი — ეულია, მარტოხელა კაცი ცოდვაა. ადამიანი მეგობარს თვითონ ირჩევს, თვითონ აღმოაჩენს მასში იმ სასურველ თვისებებს, რაც მის სულს უახლოვდება, რაშიც ხედავს ადამიანის სი-

საქ. სსრ კ. მარქსის

ლამაზეს. კარგი მეგობარი მთელი სიცოცხლის მანძილზე თან გახლავს, ჭირსა და ლხინში შენთან ერთად არის... მეგობართა თავდადების არა ერთი და ორი მაგალითი ვიცით ცხოვრებიდან და ლიტერატურიდან.

მეგობრობა იწყება თუნდაც იქიდან, სადაც მერაბს გაუცვნია გია — ფეხბურთის პატარა მოედნიდან — პატარა საქმით, დიდი საქმით, ერთობლივი სწავლითა თუ სამსახურით...

დიდი საქმე კი მუდამ პატარიდან იწყება. გიას გულკეთილი ჟესტი, რაც უმალვე შენიშნა მერაბმა, საწინდარი გახდა მასთან სიახლოვისა. გულმა გული იპოვა, არა მაისურით, არამედ ადამიანის კეთილი საქციელით, რითაც ბიჭმა თავის თანატოლს სიხარული მიანიჭა. და ეს კეთილი საწყისი იყო სწორედ მათი დამეგობრების ფუნდამენტი. მაგრამ აი, სხვამ სხვა თვალით დაინახა გია, გარეგნულად შეუხედავი... სხვამ სხვა აზრით შეაფასა ორი ბიჭის მეგობრობა.

რა უნდა ვქნაო, გვეკითხება მერაბი. არც მშობლებს უნდა აწყენინოს და ახლად შეძენილი მეგობარიც არ უნდა დაკარგოს. რა ვურჩიოთ, რა ვუთხრათ?

იქნებ აჯობოს, მერაბმა შინ მიიპატიჟოს გია, გააცნოს თავის მშობლებს. ამით მეგობარსაც უფრო მეტად დაიახლოვებს და მისი მშობლებიც, ახლოს რომ გაიცნობენ ბიჭს, მასზე აზრს შეიცვლიან.

ახლა მოვუსმინოთ, რას გვწერს ლალი:

„პატივცემულო რედაქცია. მე მეშვიდეკლასელი ვარ. ვსწავლობ კარგად. შინ ყველა საოჯახო საქმეში ვეხმარები დედას. სკოლაში წასვლა კი, სწორე გითხრათ, მიმძიმს ერთი გარემოების გამო: ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენი კლასის გოგონებისა და ბიჭების უმეტესობას არავითარი ამხანაგური, მეგობრული გრძნობა არ გააჩნიათ, გაუთავებლად ჩხუბობენ, კამათობენ, ლაზღანდარობენ... მე პირადად გოგოებთან ურთიერთობას ისევ ბიჭებთან ამხანაგობას ვარჩევ. გოგოები გაუტანლები, ენაჭარტალები და ბიჭებზე უფრო მეტად თავაშვებულები არიან... საიდუმლო რამე რომ წამოგცდეს (აბა, ისეთი რა საიდუმლო გვაქვს, მაგრამ მაინც, რაც არის), იმავე წუთს ქვეყანას მოსდებენ, დაგცინებენ...

ვინც რა უნდა თქვას, სამეგობროდ მე მაინც თემური მირჩევნია. ჰოდა, მასთან ვმეგობრობ კიდეც. გიჭირს რამე — დაგეხმარება, დაგცინებს ვინმე — ვაი მას! თემური ზოგ საგანში ძლიერია, ზოგში მოისუსტებს. აქ კი მე ვეხმარები ხოლმე. ერთი სიტყვით, ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. მაგრამ აი, ერთ დღეს შევდივარ საკლასო ოთახში და რას ვხედავ: დაფაზე ვიღაცას მსხვილი ასოებით წაუწერია: „ლალი+თემური=სიყვარულს!“ მე ალმური მომედო სახეზე, სწრაფად ვეცი დაფას და ნაწერი წავშალე. იმ დღეს გაკვეთილებს არ დავსწრებივარ. რამდენიმე დღის შემდეგ კი კლასის ხელმძღვანელმა გამაფრთხილა, აქ ბავშვები რაღაც-რაღაცებს ლაპარაკობენ და შენ ბიჭებთან სიარულს მოუკელიო. ვინ ბიჭებთან-მეთქი, ვკითხე მასწავლებელს. მან დამცინავად შემომხედა და მომიგო: ძალიან კარგად იცი, ვისზედაც გეუბნები და გაიგონეო.

თავზარი დამეცა. ნუთუ არ შეიძლება ისეთ ბიჭთან მეგობრობა, როგორიც თემურია? ნუთუ არ შეიძლება გოგომ ბიჭთან იმეგობროს ისე, რომ არ დასცინონ, რომ ამ მეგობრობას სხვანაირი თვალით არ შეხედონ მასწავლებლებმა და მშობლებმაც კი?“

მოდი და, გულთან ნუ მიიტან ლალის გულისტკივილს. არ შეიძლება, მოზარდის გრძნობებს სათუთად არ მოვეპყრათ. ორი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ პედაგოგებსა და მშობლებს უფრო მეტი მართებთ, ვიდრე იმ ლაზღანდარა გოგო-ბიჭებს, ვისთვისაც დაცინვის საგანი გამხდარა ლალის და თემურის მეგობრობა. რას ჰქვია, გოგონამ ვაჟთან არ იმეგობროს!? რატომ არ უნდა იმეგობროს?! სამაგალითო, წმინდა, ამხანაგურ დამოკიდებულებას პედაგოგმა, პირიქით, ფრთები უნდა შეასხას. სწორედ სკოლის კედლებში უნდა გამოიწვროთოს და განმტკიცდეს მეგობრობა ყმაწვილებს შორის, ურთიერთპატივისცემის, დახმარების, გაგების, ურთიერთდაფასების ნიადაგზე. სკოლაში განმტკიცებული მეგობრობა სულ სხვაა. ბევრი ტკბილი მოგონება მიჰყვებათ ადამიანებს სკოლიდან. შეიძლება, მრავალ რამეს მოწაფეობის ჟამს ვერ ამჩნევ, მაგრამ შემდგომ, მოგონებათა სახით გაცოცხლებული, სიამოვნებით გივსებს გულს.

ლალის წერილი ჩვენ სრულად არ მოვიტანეთ. მასში უფროსი ძმისადმი საყვედურიც არის გამოთქმული. არ ვიცი, საიდან შეიტყო ჩემი და თემურის მეგობრობა, ერთხელ გზაში დახვედრია და ცემით დამუქრებიაო. შინ ამაზე დიდი უსიამოვნება მოგვიხდა, ჩემი მშობლებიც მაინცდამაინც დადებითად არ შეხვდნენ ჩვენი მეგობრობის ამბავს, ხოლო ჩემი ძმა დღესაც ვერ ისვენებსო.

ძმის ამგვარმა ქცევამ გააღიზიანა ლალი, ნერვიულ ნიადაგზე ავადაც კი გახდა. თემურს კი ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ლალისთან, შენი ძმა ცემით დამემუქრაო, თავი კვლავინდებურად ეჭირა, მაგრამ ერთ დღეს სკოლიდან გაქრა, სხვა სასწავლებელში გადავიდა. ამან, რასაკვირველია, ლალის კიდევ უფრო ატკინა გული... კლასის ხელმძღვანელს რამდენჯერმე უხეშადაც შეეპასუხეო, წერს იგი.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა დაიძაბა. გოგონას გამოსავალი ვერ მოუნახავს და აი, ჩვენ გვთხოვს დახმარებას.

თქვენ რა აზრის იქნებით, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო? მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებანი მეგობრობაზე, თქვენს დამოკიდებულებაზე ამხანაგებისა და უფროსების მიმართ, იმაზე, თუ რა ვურჩიოთ ლალის, მერაბს? კარგი რჩევა ალბათ მარტო ლალის და მერაბს კი არა, ბევრ სხვასაც გამოადგება. ამით დიდ სამსახურს გავუწევთ თქვენს თანატოლებს. ველით თქვენს წერილებს.

თენგიზ გოგოლაძე

გაკვეთილი გრძელდება

ვლადიმერ
ასლამაზიშვილი

საკლასო ოთახის ყველა ფანჯარა ყურთამდე ღიაა.

ალაზნის ველიდან მონაბერი ნიავი ოთახს გაზაფხულის საამო სურნელით ავსებს. ნიავს ხან ფუტკარი შემოჰყვება ზუზუნით, ხან თეთრი პეპელა შემოფრინდება. ერთ წამს მივლ-მოვლიან იქაურობას და ისევ გაუტევენ. გარეთ სჯობია. გარეთ თბილა და ყვავილებიც ბევრია, თითქოს ბატიბუტი გამოუბამთო, თეთრად და პირისფრად აფეთქებულან ტყემლები, ატმები... ამ სითეთრეს და პირისფერს სოფელი ბღუჯა-ბღუჯა გაუვსია. მერე ქვევით-ქვევით, ალაზნის ველისაკენ წასულა და მინდორ-მინდორ, ბაღ-ვენახებში, ასაშლელად გამზადებული ღრუბლის ქულებივით ჩაბუდებულა.

სკოლის ეზო ბავშვებით არის სავსე. ისმის სიცილი, მხიარული გაძახილ-გამოძახილი. იმ ჟრიამულში მაინც გამოიკვეთა გაკვეთილის დაწყების მაუწყებელი ზარის ხმა — ბიჭი ხარ და თამაშს ნუ მიატოვებ. სწავლის დრო თავისას მკაცრად მოითხოვს.

საკლასო ოთახი ყმაწვილებით ივსება.

მეშვიდეკლასელებს ისტორია აქვთ. საგანს მათი საყვარელი მასწავლებელი, მხცოვანი პედაგოგი იოსებ ანდრაზაშვილი ასწავლით.

კარი გაიღო. აგერ, ისიც — საშუალო სიმაღლის ჭაღარა კაცი, სახეზე ღიმილი დაჰფენია.

ბავშვები ფეხზე ადგომით მიესალმნენ.

— რა გვაქვს გაკვეთილად? — კითხულობს იოსებ მასწავლებელი.

ხელები ტყესავით აღიმართა მერხებზე.

— დათო კახოიძე გვეტყვის!

ლოყებაწითლებული, ოფლით თმებდასველებული დათო ცქვიტად დგება.

— დღეს გაკვეთილად გვაქვს „გლეხთა ომი გერმანიაში“.

— აბა, გისმენთ, დათო!

ყმაწვილი მასწავლებლის მაგიდის გვერდით ჩერდება, პირი თანაკლასელებისკენ აქვს მიქცეული.

... 1625 წლის დასაწყისში გერმანიაში გლეხთა ომი გაჩაღდა... ცეცხლი მოედო მონასტრებსა და ფეოდალთა სიმაგრეებს. გლეხები წვავდნენ დოკუმენტებს, რომელშიც ფეოდალთა ბეგარები ირიცხებოდა, ინაწილებდნენ მებატონეთა პირუტყვს, იბრუნებდნენ ფეოდალთა მიერ დატაცებულ სათემო მიწებს.

— ვინ მეტყვის, რას ნიშნავს „სათემო მიწა“? — აინტერესებს იოსებ მასწავლებელს.

ისევ ხელების ტყე.

ეკა ბერიოზაშვილი დინჯად, გასაგებად განმარტავს, რა არის „სათემო მიწა“ — წინა გაკვეთილზე იოსებ მასწავლებლის ნაამბობს იხსენებს. სათემო მიწები თურმე ანაგაშიც ყოფილა, არავის ჰქონია მისი დასაკუთრების უფლება. თიბვის დრო რომ დადგებოდა, დანიშნულ დღეს ბალახი ყველას ერთად უნდა ეთიბა და გაენაწილებინა. ამ ადათს გლეხები მკაცრად იცავდნენ.

იოსებ მასწვლებელმა ჯერ დათოს დაუწერა ხუთი, მერე — ეკას.

ეკას და დათოს არც ნინო მირიანაშვილი ჩამორჩა და არც ხათუნა ბერიკელაშვილი. მერხზე გადაშლილ ატლასებში ადვილად იპოვნეს შუასაუკუნეების გერმანია, ისაუბრეს მარტინ ლუთერზე, გლეხთა აჯანყების დამარცხების მიზეზებზე.

სიმართლე გითხრათ, კარგია, როცა კაცმა ძველი და შუა საუკუნეების ისტორია ხუთზე იცის, გაკვეთილს უშეცდომოდ ჩააბულბულებს, მაგრამ საკუთარი სოფლისა თუ ქალაქის ისტორია თუ არ იცის, ვერაფერი კაიკაცობაა. მერე რა, რომ მეექვსე-მეშვიდე კლასებში საქართველოს ისტორია არ ისწავლება, იოსებ მასწავლებლის მოსწავლეებს აინტერესებთ და ისიც პოულობს დროს, ბავშვებს ზოგადად მაინც გააცნოს ქართული ერის წარსული; ასწავლოს დრო-ჟამ გამოვლილი, ათას ჭირსა და ვარამს გადარჩენილი ძეგლებისადმი სიყვარული და პატივისცემა. ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლებით მდიდარია ანაგა. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ფართო ადგილი აქვს დათმობილი ამ სოფლის წარსულისა და აწმყოს ამსახველ ექსპონატებს. ვინ იცის, ნორჩ ისტორიკოსებს რამდენჯერ გასძღოლია იოსებ მასწავლებელი სიღნაღისაკენ. ფეხით გაუვლიათ ანაგის ხევი

და მუზეუმს სტუმრებიან, თავიდან ბოლომდე შემოუვლიათ ერეკლე მეფის მიერ ანაგები და გამაგრებული სიღნაღის ციხე-გალავანი, რომლის სიგრძე ოთხ კილომეტრს აღემატება.

ამას წინათ იოსებ მასწავლებელი ბავშვებს ანაგის „ციხეებისაკენ“ გაუძღვა. სოფელში, ღვინობაანთ უბანში, ქვითა და კირით ნაშენი ბურჯები დგას. წელთა სიმრავლე იმზირება იმ ციხეთა ქონგურებიდან, სათოფურებიდან, სათვალთვალოებიდან. ამ ციხეებს სახელებიც ჰქვია: „ხირსელების“, „ხიზანაანთი“, „ბიჭიაანთი“, „ანდრონიკაანთი“, „ოღოანთი“... სულ ექვსი ციხე დაითვალეს ბავშვებმა, ყველა — საგვარეულო. დიდი ხნის წინათ თურმე ამ გვარის ოჯახები მტრის შემოსევისას დედა-წულიანად იქ აფარებდნენ თავს.

რამდენი რამ დაწერილა დიდ სამამულო ომზე, კიდევ ბევრი წიგნი დაიწერება, გადაიღებენ კინო-ფილმებს, მაგრამ როცა იოსებ მასწავლებელი ყვება იმ დღეთა ეპიზოდებს, ეს სულ სხვაა. თვითონ წარმოიდგინეთ, იოსებ მასწავლებელი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. 1939 წელს სწავლობდა ვორონეჟის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იქიდან არმიაში გაიწვიეს, გაიარა საარტილერიო მოსამზადებელი კურსები, კარგი მემიზნე დადგა. ეს ჯერ კიდევ მაშინ გახდა ცნობილი, როცა ფინეთის ომში მიიღო მონაწილეობა. მერე, როცა გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდა ჟიტომირთან და სტალინგრადთან, რამდენჯერმე დაიჭრა. შუბლზე და მარცხენა წარბზე ახლაც აქვს ჩარჩენილი აფეთქებული ნაღმის ნამსხვრევები.

საჭიროებამ მოითხოვა და ომის ცხარე დღეებში შეისწავლა ტოპოგრაფია. მზვერავთა მიერ მოტანილი ცნობების მიხედვით რუკებზე გადაჰქონდა მტრის ბატარეების, დაჯგუფებათა პირობითი ნიშნები, რითაც ჩვენს არტილერისტებს დიდ დახმარებას უწევდა. ამის გამო მრავალი მადლობა დაუმსახურებია სარდლობისაგან.

საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული, 1946 წელს დაბრუნდა მშობლიურ სოფელში.

ვერც ომმა, ვერც გაცდენილმა წლებმა ვერ ჩაკლა მასში სწავლის სიყვარული, მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ისტორიის ფაკულტეტი აირჩია. სწავლობდა და არც სოფელი ავიწყდებოდა; არდადეგებზე მშობლებს შრომაში ეხმარებოდა, ხან მეურმე იყო, — ალაზნის ველიდან კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში საკვებს ეზიდებოდა, ხან კალოზე ტრიალებდა, — მარცვლით სავსე ტომრებით ტვირთავდა ურემსა თუ მანქანას.

გაიარა სტუდენტობის წლებმა. იოსებ მასწავლებელმა მშობლიურ სოფელში პედაგოგობა არჩია, იქვე დაოჯახდა, მისი მეუღლე მარიამი დღეს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელია.

იოსებ ანდრაზაშვილი მალე 70 წლის გახდება. თითქმის ოთხი ათეული წელი ბავშვთა აღზრდას მოახმარა. რაიონში რამდენი ადგილი არ შესთავაზეს, შეეძლო უფრო მაღალხელფასიანი, შედარებით შეღავათიანი სამსახური ეშოვნა, მაგრამ არჩეულ პროფესიას არ უღალატა.

აკი იმიტომაც, სიყვარულით მოიკითხავენ ხოლმე მისი აღზრდილები. ზოგი წერილით ეხმიანება, ზოგი ტელეფონით, შინაც ესტუმრებიან, მოეფერებიან ღვაწლმოსილ პედაგოგს.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში სიკეთე ბევრი დაუთესია. სიკეთეც ბევრი მოიმკო — მის მოსწავლეთაგან ქვეყანა არვის გაუუყიდნია, სოფელი და სკოლა არ შეურცხვენია, საძრახისი საქმე არ ჩაუდენია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ იოსებ ანდრაზაშვილი პენსიონერ მასწავლებელთა რიგებს შეემატა. სკოლაში მაინც ვერ შეელივნენ, ვერც რაიონის განათლების განყოფილებაში გაიმეტეს ამაგდარი პედაგოგი და ისევ სკოლაში დარჩენა სთხოვეს, დარჩა. მეექვსე-მეშვიდე კლასების პედაგოგობა ირჩია, ზედა კლასები ახალგაზრდა მასწავლებლებს გადაულოცა.

გაკვეთილის დამთავრების მაუწყებელი ზარი დაირეკა, ბავშვებს კი თითქოს არ გაუგონიათ, ოცდაათამდე მოსწავლის თვალი ისევ იოსებ მასწავლებელს მისჩერებოდა, მონუსხულივით.

ჩაინიშნეს ახალი გაკვეთილი.

მასწავლებელმა ხელში ჟურნალი აიღო.

კვლავ ახმაურდა სკოლის ეზო.

წლებით მხრებდამძიმებულმა, თუმცა ჭაბუკური ენერგიით სავსემ ეზო დინჯი ნაბიჯებით გაიარა, გავიდა სოფლის გზაზე და შინისაკენ გაეშურა.

მის ასაკში ბევრი არხეინად მხართეძოზე წამოწვებოდა, შვილიშვილებთან თამაშით გაერთობოდა, დროს უსაქმობაში მოჰკლავდა. იოსებ მასწავლებელს კი უშრომელად ერთი დღეც ვერ წარმოუდგენია თავი. გული მუდამ საგარჯილოდ ერჩის, ან რა გააჩერებს სახლში, როცა გაზაფხულია და დიდ-პატარა ბაღ-ვენახებშია გაკრეფილი — ბარავენ, თესავენ, თოხნიან...

სახლში მივიდა თუ არა, ტყავის ძველი ჩანთა აიღო, შიგ ქაღალდში გახვეული ყველი, პური და რამდენიმე ღერი მწვანე ხახვი ჩადო, ჩანთის ერთ კუთხეში წყლით სავსე სველი კოკურა ჩაჭყუტა, აიღო ბარი და ვენახისკენ გაუყვა გზას. ვენახი ალაზნის არხთან აქვს, იქამდე საკმაო მანძილია, მაინც არ ეზარება ფეხით სიარული; პირიქით, გაკვეთილების შემდეგ ვენახში მუშაობა სიამოვნებას ჰგვრის. მართალია, მასწავლებლობს, მაგრამ მამა-პაპეული ვენახისათვის ზურგი არ შეუქცევია, ცდილობს, ვაზის სიყვარული სხვებსაც ჩაუნერგოს.

იოსებ მასწავლებელმა ვენახში შეაბიჯა. შორიდანვე შემოსცინეს კვირტებდამსკდარმა ვაზებმა, აქა-იქ პირისფრად აყვავებულმა ატმებმა. თეთრად გადაპენტილი ჭერმის ტოტებში შემალულმა შაშვმაც დაიჭახჭახა.

შაშვის ჭახჭახმა რატომღაც სკოლის ზარი გაახსენა და მოეჩვენა, რომ ახლა აქ, ვენახში გაგრძელდებოდა მისი გაკვეთილი — შრომის, მშობლიურ მიწასთან ჭიდილის, სიცოცხლისა და სიმშვიდის გაკვეთილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 7

მეგობრობის ხიდი

მეგობარი ბევრი მყავს სკოლაშიც და სკოლის გარეთაც, მაგრამ ახალი მეგობრების შეძენას მუდამ ვესწრაფვი. ერთი ასეთი შემთხვევა მინდა გავიხსენო:

შემოდგომა იდგა — მხიარული და საინტერესო ექსკურსიების დრო. თანაკლასელებთან ერთად სკოლის ეზოდან გამოვედი. იქვე, ახლოს, შეჩერებული ავტობუსი შევნიშნე. მივხვდი, ექსკურსანტები იქნებოდნენ — ჩვენი სკოლა ხომ აკაკი წერეთლის ძიძისეული სახლის მეზობლად მდებარეობს. ავტობუსის თვალიერებამ გამიტაცა. უცებ ფანჯრიდან ჩემკენ მოპყრობილი გაცინებული სახე შევნიშნე. შავთვალა გოგონა იყო, ჩემის ხნისა. საოცრად მომინდა მისი გაცნობა, მაგრამ ავტობუსი უკვე გაჭედილი იყო, მასში ასვლას ვერ შევძლებდი, გოგონას სკოლა და გვარსახელი შორიახლოს მდგარმა მისმავე მასწავლებელმა მითხრა, მე კი მას, ამხანაგების საშუალებით, ჩემი მისამართიც გადავაწოდე.

დიდი ამბით გავაცილე სურამელ მოსწავლეთა ის ავტობუსი. რამდენიმე დღის შემდეგ კი წერილი დავწერე, დიახ, წერილი — ჩემს ახალ მეგობარს — მაია ივაშჩენკოს, იმ შავთვალა გოგონას მივწერე. მას შემდეგ ვმეგობრობთ, ყველა სასიხარულო და საწყენ ამბავს ერთმანეთს ვუზიარებთ. მაიასთან ახლა მე საოცრად თბილი დამოკიდებულება მაკავშირებს და ვიცი, რომ ჩვენს შორის გადებული მეგობრობის ხიდი არასოდეს ჩატყდება.

ნონა გაფრინდაშვილი,
საჩხერე, სავანის საშუალო სკოლა,
IX კლასი.

* გაზაფხული *

გაზაფხულია. თეთრ წვერს
პარსავს მიწას დალაქი,
უკვე აღარ აქვთ კვირტებს
ტევა ჩვენს ჭრელ ქალაქში.
შეზავებულან ათქვირული
კოხტა ფერები
და ჭადასულან ერთმანეთში
ფერებ-ფერებით.

გაზაფხულია...
და ბუნებაც გაფიროსმანდა,
ფრინველთ ჭიკჭიკი
სმენას ატკბობს აღტაცებული,
ეს გაზაფხული კოცონივით
აალებულა
და კოცნა-კოცნით გზას იკაფავს
ატაცებული.

როცა ხევები ჰყვირიან
„შავლეგოს“ თავის ხმებზედა,
როცა ატმები ათქვირულ
მკერდებს ითბობენ მზეზედა,
როცა შორიდან გაისმის
ნასუქი ღრუბლის მთქნარება,
როს მწვერვალებსაც სწყინდებათ
ყინულ-საფარის ტარება,
როცა მერცხალი მაღლიდან
თბილ ქვეყნის ამბებს გვიყვება,
როცა ფუტკარი ყვავილის
ოქროსფერ მტვერში ისვრება.
მაშინ ეს სულიც მკერდს აპობს,
გაზაფხულს ყელზე ეხვევა,
სურნელით გაბრუებული
იშლება ჭადარ-ვერხვებად!

ნესტან ნადირაძე,
თბილისი, 162-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.



„პორტრეტი“.
დათო ჩიტაური,
VII კლასი.

დუშეთი,
ჭართლის არასრული
საშუალო სკოლა.

„ასფურცელა“
ვანო ჯაფარიძე,
11 წლის.

ნუნუ ქადაგიძე

მხატვარი

გ. ფოცხიშვილი

ნებიერა

მოთხრობა

ხევში, ნაკადულის პირას ვიჯექი. ჩემი საყვარელი ადგილია, გრილი, მყუდრო. ცხოველები ხშირად ჩამოდიან დასარწყულებლად, ფრინველებიც ეტანებიან იქაურობას. ბევრ საინტერესო რამეს ნახავ, თუ ჩირგვების უკან მიმალული უთვალთვალებ მათ შინაურულ ცხოვრებას. ირმები მაინც ყველას მირჩევნია. ოდნავადაც არ ეშინიათ ჩემი. არ გამირბიან, თუ შეამამჩნიეს. მეც სანთელივით აღერილ კისერზე ვეფერები და ტკბილეულს ვუწვდი ხოლმე. უფრო სწორად, ვუწვდიდი. მუდამ მქონდა ჯიბეში კანფეტი ან შაქარი საამისოდ. ახლა უკვე აღარ...

ჰოდა, ერთიც ვნახოთ, ნაკადულთან ირემი მოვიდა წყლის დასალევად. კარგად ვიცნობ იმ ირემს, ბებერი ხარირემია. ხესავით გაბარჯღულ რქებში ერთი ტოტი ჩამოტეხილი აქვს, თოფი მოახვედრა ერთმა ყმაწვილმა. გარეშე თვალი ვერაფერს შეატყობს, თუ კარგად არ დაუკვირდი, არ ემჩნევა. უნდა გენახათ, რა მშვენიერი სანახავი იყო: მოქნილი მოძრაობით ჩამოდიოდა ბილიკზე. ფიჩხიც კი არ გახმაურებულა მის ჩლიქებქვეშ, თუმცა ლაღად კი ადგამდა ნაბიჯებს. დატოტვილ რქებს დიდი გულისყურით არიდებდა ხშირ ბუჩქნარს. ტოტი არ შერხეულა მის სავალ გზაზე, ისე ჩამოათავა ბილიკი. ერთხანს სმენად ქცეული, გარინდებული აყურადებდა გარემოს, მერე წყალს დაეწაფა. მშვიდად, აუჩქარებლად სვამდა, ყურები კი დაცქვეტილი ჰქონდა, ჩქამიც არ გამოეპარებოდა მის მახვილ სმენას. მე სულგანაბული ვიჯექი, ჩუმად ვტკბებოდი მისი სილამაზით.

მოულოდნელად წყლის სმა შეწყვიტა და თავი მაღლა აიღო. ისედაც მშვილდივით მოზიდული სხეული კიდევ უფრო დაეძაბა, კუნთები ზამბარასავით შეეკუმშა, რაღაცას ყური მიუგდო. სულ მალე მეც მომესმა რომელიღაც ცხოველის ნაბიჯების ხმა. დაუდევარი, არხეინი ნაბიჯები თანდათან ახლოვდებოდა. ტოტების მტვრევის ხმაც მოისმოდა, ჩლიქებქვეშ ხვინჭის ხმაურიც და ის იყო, წყაროს პირას მდგარი ირემი ადგილიდან უნდა მოსხლეტილიყო, რომ ბუჩქებიდან მეორე ირემი გამოვიდა. დამხვდური ადგილზე დარჩა, სხეული შეუტოკდა მხოლოდ.

მეორე ირმის გამოჩენა ნამდვილი დღესასწაული იყო სილამაზისა. დიდებულად ნაქანდაკარ ტანზე ბეწვი უბზინავდა. იშვიათი სინატიფით მოგლუვებული სხეულით თითქოს მოცურავდა ხეებს შორის. ამაყად, მეფურად შეემართა კისერი და ერთი შეხედვით გეგონებოდა, რომ მისი მაღალი, დატოტვილი რქები ხეთა კენწეროებს აჭარბებდნენ სიმაღლით. არხეინად, თამამად მობაკუნობდა. სრულიად ახალგაზრდა ხარირემი იყო.

— შენა ხარ, ნებიერავ? — გამოელაპარაკა დამხვდური ირემი ახალმოსულს. — რა არხეინად, რა ხმაურით დადიხარ, მეზობელო!

— რისი უნდა მეშინოდეს, ქორბუდავ? — ჰკითხა ნებიერამ, წინა ფეხებით ნაკადულში ჩადგა და მადიანად მოსვა წყალი. — რისი უნდა მეშინოდეს? — თავი აიღო და გაიმეორა შეკითხვა, რადგან ქორბუდამ მაშინვე არ უპასუხა.

— მართალი ხარ, — დაილაპარაკა დაფიქრებულმა ქორბუდამ. — ნაკრძალში იმიტომ ვცხოვრობთ, რომ აღარაფერი გვქონდეს საშიში, არც მგლები არიან აქ, არც მონადირე ჭაჭანებს.

— შენც კარგად გცოდნია, მე რაღას მაფრთხილებ.

ქორბუდას აღარაფერი უთქვამს. ნებიერა დგაფუნით აბიჯებდა ნაკადულში. ხან ერთ მხარეს გავიდოდა, ხან მეორე მხარეს და ქორბუდას წყლის შხეფებით წუწავდა. ქორბუდა, თითქოს ვერაფერს გრძნობსო, გაუნძრევლად იდგა დაფიქრებული.

— დიდად მხიარული არც როდის მინახიხარ, — თქვა ნებიერამ, — მაგრამ ახლა მეტად შეწუხებული მეჩვენები. რაზე ფიქრობ?

ქორბუდას არც ახლა გაუღია ხმა. თავჩაქინდრული იდგა.

ნებიერამ უგემურად მოწიწკნა ბალახი და ისევ წყალს დაეწაფა.

— რა შავრ წყალს სვამ! — როგორც იქნა, ამოიღო ხმა ქორბუდამ.

— შაქარი ვჭამე ბევრი, კანფეტებიც, მერე ლიმონათი დავლიე წყლის მაგივრად. — ნებიერამ პირი გააწკლაპუნა.

— ჰოო, მოგწყურდებოდა, აბა რა იქნებოდა, — ნაღვლიანი თვალებით დაკვირვებით შეათვალიერა ქორბუდამ ნებიერა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა: — ძალიან შეჩვევიხარ ტკბილეულს, ნებიერავ. აღარ მოგეწონება აღარც ბალახი, აღარც ხის ფოთოლი.

— მართალია, ისე გემრიელი აღარ არის...

— სხეულიც კარგად დაგიმრგვალდა, ნებიერავ, თუმცა მოქნილობა არ გაკლია ჯერ. ისევ ლერწამივით დრეკადია შენი ხერხემალი. გრძელი, თამამი ნაბიჯი გაქვს, ადვილად ვერ მოგწვდება მდევარი. მგელსაც გააწბილებ, თუ გამბედაობამ არ გიღალატა, მაგრამ...

— რა მაგრამ? — გაეხმაურა ნებიერა, ქორბუდა რომ ისევ დადუმდა.

— გასუქდები და დამძიმდები, თუ ასე მიეძალე ნუგბარ საჭმელს, დაკარგავ მშვენიერ ფორმას. ადვილად ნაშოვნი არაფერი ვარგა. საჭმლის შოვნაში იმდენივე ენერგია უნდა დახარჯო, რამდენსაც თვითონ ის საჭმელი მოგცემს. მხოლოდ მაშინ იქნები ჯან-ღონით სავსე და ძლიერი. გარეგნული პეწი და სილამაზეც შეგრჩება.

ნებიერამ უდარდელად ჩაიფრუტუნა, ტანი შეიბერტყა.

— სუნიც უცხო აგდის, ნებიერავ, — ჯანაგრძო ქორბუდამ. — აღარ გაქვს ტყის და ბალახის სურნელი. გომურის ჰაერით ხარ გაჟღენთილი. ვაი, სირცხვილო!

— რა არის სასირცხვილო? — გაწიწმატდა ნებიერა.

— როცა ცხოველი ტყეში თავისუფლად ცხოვრობს, მას სხვა სუნი აქვს, სხვა შესახედაობა, სხვა ნაბიჯი. შენ აღარ ჰგავხარ ძველ ირმებს, მუდამ მშვილდივით მოზიდულები რომ იყვნენ, აღარ ფრთხილობ, ხომ არავინ დამდევსო, კარგავ ყნოსვის სიმახვილეს, საფრთხის შემჩნევის უნარს. ასე ხომ დაკნინდა კეთილშობილი ირმების გვარი, ნებიერავ! ზედმეტი ქონი დაასახიჩრებს მოქნილობითა და სილამაზით განთქმულ ირმებს. ადამიანები გომურში გემრიელ საჭმელს გაჭმევენ, სამაგიეროდ, შენ ტყეში თავისუფალი ცხოვრების ალღოსა და გემოს ჰკარგავ.

ნებიერამ, თითქოს ბუზმა შეაწუხაო, ისე გაიქნია თავი.

— ამ ტყეში დავიბადე და გავიზარდე, — რაკი ერთხელ ალაპარაკდა, აღარ ცხრებოდა ქორბუდა, — შენზე ბევრად უფროსი ვარ და შენზე მეტი მესმის. ამ ბებერ ტყავს რომ უყურებ, რაღა არ გადახდენია თავს. ავიც ბევრი მინახავს და კარგიც, გვალვაც და წვიმაც, ტყვიასაც გავუკაწრიავარ, მშიერიც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ყოველთვის ვარიდებდი თავს ადამიანებს. არ მინდოდა შევჩეოდი მათი ხელიდან სამოწყალოდ საჭმლის ჭამას. ვიცი მე ასეთი საჭმლის ფასი. შენ კი გაგანებივრეს თავიდანვე, შეგაჩვიეს გომურის ჰაერს, იოლად ნაშოვნ საჭმელს. გაგაზანტებს ასეთი ცხოვრება, ველარც მგელს გაექცევი...

— რას აიჩემე ეს მგლები, ჩვენს ნაკრძალში ხომ მგლები აღარ არიან, — გაწყრა ნებიერა. — თუ იქნებიან და — მათაც მისცემენ ადამიანები თავის წილ საკვებს, ჩვენს თავს არ შეაჭმევენ.

ქორბუდამ სევდიანად გადააქნია თავი.

— ის მირჩევნია, ისევ მგლები დაგვდევდნენ, ნებიერავ. ცოტანიც რომ გადავურჩეთ იმ მგლებს, ის ცოტანი ძლიერები და მოქნილები ვიქნებით მაინც. გაყინულ მიწაზე გამხმარი ბალახი რომ მოვწიწკნოთ, ის უფრო შეგვერგება, ვიდრე ადამიანების ხელით მოწოდებული შაქარი, ჩვენით რომ ერთობიან, მერე კი, თუ დასჭირდათ, დანას გამოგვისვამენ ყელში. გომურში თუნდაც დიდხანს ვიცოცხლოთ, აღარ ვიქნებით კეთილშობილი ირმები. მეწველ ძროხებად, ფიტულებად, ლამაზ სათამაშოებად ვიქცევით. ეს უფრო საშიშია ჩვენთვის, მგლებზე უფრო საშიში...

ამ საუბრის შემდეგ ირმები ერთმანეთს დაშორდნენ. ამაყად კისერმოღერებული ნებიერა დინჯად გაემართა იქითკენ, საიდანაც მოვიდა. ქორბუდა ისევ ნაკადულის პირას დარჩა, მწუხარე ფილოსოფოსივით დაფიქრებული დიდხანს იდგა გაუნძრევლად. მერე ატირდა, ეტყობა, ნაღვლიანი თვალები ცრემლებით აევსო. ჩამოსდიოდა ღაპაღუპით ცრემლები და ნაკადულს ერთვოდა. ისე შემებრალა, მეც ავტირდი მისი ცოდვით. ბევრი ვიტირე და ტირილით დაოსებულს არ გამიგია, როგორ ჩამეძინა. როცა გამომეღვიძა, ქორბუდა უკვე აღარ ჩანდა. ნაკადული კი ამღვრეული და ადიდებული იყო, თუმცა წვიმა არ მოსულა. ქორბუდას ცრემლებმა აადიდა და აამღვრია ნაკადული... რა გაცინებთ, ბიძიებო? არ გჯერათ ჩემი ნაამბობის? სიზმარში გინახავსო... კი მაგრამ, თუ სიზმარი იყო, ნაკადული რაღამ აადიდა ასე, რამ აამღვრია. წვიმის ნასახიც კი არსად ჩანდა, ირგვლივ ყველაფერი მშრალი იყო. არც შორს მთებში შემინიშნავს წვიმის ღრუბელი. კაცი დავბერდი, შორიდანაც კი ვგრძნობ ჰაერში წვიმის სუნს. იცინეთ, იცინეთ... რა ვქნა, მართალი გითხრათ, არ მიხარია თქვენი სიცილი, მაგრამ მთლად თქვენი ბრალიც არაა. თქვენ ხომ არასოდეს გინახავთ ქორბუდას ცრემლები. სიზმარშიაც არ გინახავთ, ცხადს ვინღა დაეძებს. ერთხელ მაინც რომ მოგეკრათ თვალი, რა მწარედ ტირიდა ქორბუდა, ასე არხეინად ვერ გაიცინებდით ახლა, შეგრცხვებოდათ... არა, გმადლობთ, არაფერი მინდა, ტკბილეულს საერთოდ არ გეახლებით. არც ირმებისთვის მინდა. აკი გითხარით, ასე მალე დავიწყდათ ჩემი ნაამბობი? ადრე პატარა ბავშვებივით ვაძლევდი მათ შაქარს, ახლა აღარ ვაძლევ. ღორღიან მიწაზე გამხმარი ბალახი რომ მოწიწკნონ, ის უფრო შეერგებათ.

სამხილი

ჰ. მოჩალოვი

მხატვარი
იოსებ სამსონაძე

მოთხრობა

— ბიჭო, ვინ აგიჭრელა სახე? — შეწუხდა ბებია, როცა შვილიშვილის გასისხლიანებული ცხვირი და ჩალურჯებული თვალი დაინახა.

— ნუ გეშინია, მეც მაგრა მივაკერე ლიონიას! — უპასუხა სერიოჟამ თვალების ბრიალით.

ბებიამ სინანულით გადააქნია თავი.

— დღეს რისთვისღა დაკაწრეთ ერთმანეთი?

შვილიშვილმა გატეხილი ცხვირით ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი:

— ისევ იმისთვის. პაპაჩემს ისევ მოღალატე უწოდა.

სერიოჟა ბებიას შეეხვეწა:

— ბებია, შენი ჭირიმე, იქნებ ერთხელ კიდევ მიამბო პარტიზანთა რაზმის დაღუპვისა და პაპას უგზო-უკვლოდ დაკარგვის ამბავი.

მოხუცი ჩაფიქრდა.

— შენ უკვე ისედაც ყველაფერი კარგად იცი. ახალს ვერაფერს დავუმატებ. უმჯობესია, მოხუცებს — თედორესა და ნიკოლას მიაკითხო. პარტიზანთა რაზმიდან მხოლოდ ისინი გადარჩნენ და მხოლოდ იმათ შეუძლიათ, სიმართლე გითხრან.

სერიოჟამ სახელდახელოდ ისწავლა გაკვეთილები და მერე თავის მეგობარ ვიტკასთან გაქანდა. ყველა საინტერესო საქმეს ისინი სახელოსნოში არჩევდნენ, აქვე ამზადებდნენ ხოლმე სხვადასხვა მოდელს, არემონტებდნენ საოჯახო ნივთებს, ინახავდნენ თევზის საჭერ ბადეს და ზაფხულობით იძინებდნენ კიდეც. აი, ახლაც სერიოჟამ ფარდულის კარი გადარაზა და მეგობარს მიმართა:

— მტკიცედ გადავწყვიტე, რადაც უნდა დამიჯდეს, დავადგინო ჭეშმარიტება, რომელიც პაპაჩემს გაამართლებს. იგი უდანაშაულოა. დამეხმარები ამ საქმეში?

ვიტკა ჩაფიქრდა:

— თანახმა ვარ. მაგრამ ახლა ვერა. განა ვინმე ფიქრობს, რომ პაპაშენი ჰიტლერელებს გაჰყვა ან პარტიზანები გასცა?

სერიოჟამ წარბი შეიკრა.

— სულ ერთია, პაპას უდანაშაულობა უნდა დავამტკიცო, რომ ლიონკამ ენა აღარ ასარსალოს, ჩვენი გვარი არ შეარცხვინოს.

— ნიკოლა პაპასთან წავიდეთ! ვთხოვოთ, დაწვრილებით გვიამბოს, როგორ მოხდა ყველაფერი. შეიძლება, რამეც გვირჩიოს.

ნიკოლა პაპა მორზე ჩამომჯდარიყო და ლობიოსათვის ნაჯახით სარებს თლიდა. ბავშვები მოხუცს მიესალმნენ და გვერდით მიუსხდნენ.

— ნიკოლა პაპა! გთხოვთ, პაპაჩემზე მიამბოთ, მოგვიყევით როგორ გაანადგურეს პარტიზანები. მინდა დავრწმუნდე, რომ პაპაჩემი გამცემი არაა.

— რას ამბობ, ბიჭო! — აღელდა მოხუცი. — ეს არავის უფიქრია. პაპაშენი მტკიცე, პატიოსანი კომუნისტი იყო. მე თუ მკითხავ, ეს უმსგავსო ჭორი თედორე ლომოვმა გაავრცელა. ლომოვი ყოველთვის ცდილობდა, პაპაშენისათვის როგორმე სახელი გაეტეხა. კულაკის შვილმა ვერ მოინელა, რომ ივანე პეტრეს ძემ, პაპაშენმა, ოციან წლებში მათ წისქვილი ჩამოართვა და ახალგაზრდა სახელმწიფოს გადასცა.

ნიკოლა პაპამ სული მოითქვა, მერე განაგრძო:

— აღარ ვიცი, როგორ დაგეხმარო, შენ კი, აბა, რა დამამტკიცებელი ფაქტი უნდა ნახო?! მას შემდეგ ხომ ორმოც წელზე მეტი გავიდა... თუმცა, მისმინე. როდესაც ჩვენი მხარე გერმანელებმა დაიკავეს, პარტიის რაიკომის მდივანმა, აწ განსვენებულმა სიმონ თედორეს ძემ და პაპაშენმა პარტიზანთა რაზმი ჩამოაყალიბეს. პაპაშენი კომისარი იყო. ჩვენ შედარებით იოლად დავუსხლტით ჰიტლერელებს ხელიდან. ჩვენი მხარე ხომ ტყეებით, ტბებითა და გაუვალი ჭაობებითაა ცნობილი. თუ ბიჭია, დაგედევნოს ვინმე ასეთ ადგილებში. აქ შეუძლებელია ტექნიკის გამოყენება. ყველაფერი უმალ ჭაობში ჩაიძირება. საიდუმლო ბილიკი, რომლითაც პარტიზანები სარგებლობდნენ, გერმანელებისათვის უცნობი იყო. ჩვენ ცოტანი ვიყავით, სულ 23 კაცი. მაგრამ მტერს მნიშვნელოვან ზარალს ვაყენებდით: ვაფეთქებდით ხიდებს, რკინიგზას, ვანადგურებდით მტრის ძალასა და ტექნიკას. ჰოდა, გადავწყვიტეთ, ჩვენს სოფელში მოთავსებული გერმანელების კომენდატურაც გაგვენადგურებინა: როგორ აწამებდნენ ჩვენს ხალხს კომენდანტი და პოლიციელები! სულს ხდიდნენ. და აი, ტყეში, სოფლის განაპირას ჩასაფრებულ მტერს გადავაწყდით. ვიღაცამ გაგვცა. ვინ გაგვყიდა, დღემდის ვერ გამიგია. ეს კია, რომ ჩვენი რაზმი თითქმის მთლიანად დაიღუპა. როცა დამსჯელი რაზმი წავიდა, ნათესავებმა დახოცილების დამარხვა დაიწყეს. აღმოჩნდა, რომ მე და თედორეს გვედგა სული. ფეხი გამომიცვალეს, — მოხუცმა პროთეზზე დაირტყა ხელი. — თედორე შედარებით იოლად გადარჩა, სახეში იყო დაჭრილი. — ნიკოლა პაპამ ცრემლები მოიწმინდა — ყველანი ძმათა სასაფლაოზე დამარხეს. დახოცილთა შორის მხოლოდ პაპაშენი არ აღმოჩნდა. დღემდის უცნობია, სად გაქრა, — დაასრულა თხრობა ნიკოლა პაპამ და მერე შეფიქრიანებულმა

დაუმატა: — იქნებ, კუნძული „გრიკი“ მოგვენახულებინა. ის ხომ გაუვალი ჭაობების გულშია მოქცეული. ალბათ, თქვენც გსმენიათ ამ კუნძულის ამბავი. არც ომამდე და არც მის შემდეგ მისკენ მიმავალი გზა არავინ იცოდა. მხოლოდ პაპაშენმა იცოდა, როგორც უბადლო მონადირემ. ჰოდა, ამბობენ, პაპაშენმა და რაიკომის მდივანმა მთელი საიდუმლო საბუთები იმ კუნძულზე გადაიტანესო. ომის შემდეგ ბევრი ეცადა კუნძულზე მოხვედრას, მაგრამ ვერავინ მოახერხა. იგი ხომ ერთიანად ჭაობია. ზოგ ადგილას პატარა მინდორს შეხვდები, მაგრამ ფეხს დაადგამ თუ არა, ჭაობი ჩაგითრევს. აქაურობა ზამთარშიაც კი მიუვალია, რადგან არ იყინება. თქვენც ხომ იცით, რამდენი სული საქონელი ჩაუყლაპა სოფელს ამ ჭაობმა.

ბავშვებმა მოხუცს მადლობა გადაუხადეს. უკან რომ ბრუნდებოდნენ, სერიოჟამ მეგობარს უთხრა:

— აუცილებლად ვიპოვი პაპას საიდუმლო ბილიკს. ხომ ხედავ, პაპა კუნძულზე ყოფილა მეთაურთან ერთად.

მალე არდადეგები დაიწყო. ერთ დღეს გრძელი ჯოხებითა და თოკებით აღჭურვილი მეგობრები კუნძულზე მისასვლელი საიდუმლო ბილიკის საძებნელად გაუდგნენ გზას. სამ დღეს ეძებეს, მაგრამ ამაოდ. რამდენჯერმე ჭაობმა კინაღამ ჩაითრია ბავშვები, ოჩოფეხები და თოკები რომ არ ჰქონოდათ, ალბათ, უბედურებას ვერ ასცდებოდნენ.

სამი დღის ამაო გარჯის შემდეგ ვიტკამ თქვა:

— არაფერი გამოდის. შეიძლება, საიდუმლო ბილიკი მართლაც არსებობდა, მაგრამ მისი კვალი, ალბათ, უკვე დიდი ხანია ჩაიკარგა. მოდი, ფანერისაგან მსუბუქი ნავი გავაკეთოთ, მაშველი რგოლების ნაცვლად მანქანის ორი გაბერილი კამერა, ოჩოფეხები და თოკი წავიღოთ, იქნებ გადავლახოთ ეს უბედური ჭაობი.

ასეც მოიქცნენ. მთელი კვირა მოუნდნენ ნავის გაკეთებას. ჭრილები საგულდაგულოდ დაუგოზეს, მერე შეუღებეს. ლაშქრობისათვის ცხელი, მზიანი დღე აირჩიეს, რადგან იცოდნენ, ჭაობის წებოვან ლაფში დასვრილებს ბევრჯერ მოუხდებოდათ ცივ წყალში ბანაობა.

მეგობრებმა ნახევარ დღეში ასიოდე მეტრის გავლა ძლივს მოახერხეს და დარწმუნდნენ, რომ ამ გზით კუნძულს ვერ მიაღწევდნენ.

— არა უშავს, ეს ნავი სათევზაოდ გამოგვადგება. მანამდე კი რამეს მოვიფიქრებთ და ამ საშინელ ჭაობს აუცილებლად „დავიპყრობთ“, — გულს არ იტეხდნენ ბიჭები.

რადგან ნავმა არ გაუმართლათ, ახლა სერიოჟა მთელ დღეებს რაიონის ბიბლიოთეკაში ატარებდა. ენციკლოპედიებსა და ჟურნალებს ქექავდა, ეძებდა მისთვის საინტერესო რამეს, მაგრამ საიმედოს ვერაფერს მიაგნო. უკვე იმედი გადაუწყდა, რომ ერთ დღეს ბიბლიოთეკაში აღელვებულმა ვიტკამ მიირბინა.

— არის! ვიპოვე! ჩვენ მივაღწევთ კუნძულამდე! — და მეგობარს პაწაწინა ბროშურა უჩვენა, სადაც წყლის თხილამურების აღწერილობა და ნახაზი იყო მოთავსებული.

ბიჭები თხილამურებისთვის შესაფერ მასალას მთელი კვირა ეძებდნენ, საოლქო ცენტრის მაღაზიაშიც კი იყვნენ. შემდეგ სახელოსნოში ჩაიკეტნენ. ვინ იცის, რამდენჯერ მოუხდათ თითოეული დეტალის გაკეთება. და აი, თხილამურები მზად იყო.

ბიჭები სისხამ დილით ადგნენ. ჭაობი სქელ ბურუსს დაეფარა. ირგვლივ შიშის მომგვრელი სიჩუმე იდგა. ზოგჯერ წყლის ზედაპირზე ამოსული ბუშტი თუ გასკდებოდა, ან სადღაც ჭაობის ფრინველი თუ დაიღნავლებდა. ბიჭებმა ტანთ გაიხადეს. იქვე, ნაპირთან, სუფთა წყალში შედგნენ თხილამურებზე, მაგრამ მაშინვე ამოყირავდნენ. ორ საათს გულმოდგინედ ივარჯიშეს. ასე დადიოდნენ მთელი კვირა ჭაობზე. პირველ ხანებში თუ ათი მეტრის გავლა უჭი-

რდათ, შემდეგ დღეებში ას მეტრსაც იოლად ფარავდნენ.

ლაშქრობის დღეც დაინიშნა.

გადაწყვიტეს თან ორი დღის საგზალი, ასანთი, წვრილი, მაგარი თოკი და ფოტოაპარატი წაეღოთ. ვიტკამ ფოტოაპარატი პოლიეთილენის პარკში ჩადო, რომ არ დასველებოდა, თუ შემთხვევით წყალში ჩაცვივდებოდნენ.

სახელოსნოში მშობლებს წერილი დაუტოვეს, ატყობინებდნენ, სად და რისთვის მიდიოდნენ.

როცა ირიჟრაჟა, ბიჭები უკვე ჭაობთან იდგნენ. ვიდრე ზურგჩანთებს მოიკიდებდნენ, თხილამურები ერთხელ კიდევ შეამოწმეს. ნიავმაც დაჰქროლა, ბურუსი გაიფანტა და მეგობრებიც უჩვეულო მოგზაურობას შეუდგნენ.

თავისუფლად მისრიალებდნენ, უხაროდათ, თხილამურები ასე რომ ემორჩილებოდათ. საათნახევრის სრიალის შემდეგ დაღლა იგრძნეს. თხილამურებზე ჯოხები ჯვარედინად გასდეს, ზედ ზურგჩანთები დააწყვეს და ჩამოსხდნენ. ის კი არა. ფეხიც გაშალეს. სანამ კუნძულს მიაღწევდნენ, კიდევ ორჯერ შეისვენეს ამ ხერხით. ერთხელ წამოწოლაც კი მოახერხეს ხელისგულისტოლა მინდორზე, სადაც სამი ჯუჯა არყის ხე იდგა. მინდორი, როგორც ცოცხალი არსება, ფეხქვეშ ირწეოდა, მაგრამ მგზავრების სიმძიმეს მაინც გაუძლო.

ბოლოს სასურველი კუნძულიც გამოჩნდა. ბიჭები ტკბებოდნენ ირგვლივ გამეფებული სიჩუმით. როცა კარგად დაისვენეს, კუნძულის დასათვალიერებლად გაეშურნენ.

სამოცდაათამდე მეტრი დიამეტრის კუნძული კუზივით იყო მოხრილი. ისეთი ხშირი ბუჩქნარითა და ხეებით იყო დაფარული, რომ იქ ვერტმფრენიც კი ვერ მოახერხებდა დაჯდომას.

მართალია, კუნძული დიდი არ იყო, მაგრამ მიწურის მიგნება მაინც გაუჭირდათ. იგი ვეებერთელა წაქცეული ფიჭვის ქვეშ აღმოაჩინეს. ძლივს გააღეს მიწურის კარი, გააღეს და შეშინებულებმა ისევ სწრაფად მოიხურეს: იატაკზე ადამიანის ჩონჩხი იდო. ბიჭები დიდხანს ვერ ბედავდნენ შიგ შესვლას. ბოლოს სერგეი, თითქოს ეშინია, მძინარე არ გააღვიძოსო, ჩუმად, ფეხაკრეფით შევიდა მიწურში. მიცვალებულს თავთან გახუნებული წითელბანტიანი პარტიზანის ქუდი, აირწინაღის ჩანთა, გადაშლილი წიგნი და ფანქარი ელაგა. მეგობრებმა ყველაფერი ფრთხილად აკრიფეს და მიწურიდან გარეთ გამოვიდნენ. წიგნის უკანა ყდაზე ფანქრით ეწერა: „თედორე ლომოვი გამცემია. მან გერმანელებთან დაგვაბეზღა. მე ხელში და ბეჭის არეში დამჭრეს. მეთაურმა მიბრძანა, რაც უნდა მოხდეს, პარტიზანთა რაზმის საბუთები კუნძულზე გადავიტანო. ძლივს მოვაღწიე აქამდე. ბევრი სისხლი დავკარგე. ვკვდები, მშვიდ“...

მეგობრებმა ჩანთა გახსნეს. ჩანთაში ქაღალდები და სქელი რვეული იდო. ეს იყო პარტიზანთა საბრძოლო მოქმედების გეგმა და მებრძოლთა სიები. რვეულის ბოლო ფურცელზე გაკრული ხელით მიეწერათ: „ლომოვი მოღალატეა. უკანასკნელ ტყვიამდე ვიბრძოლებ. კომისარი დაჭრილია, სროლა აღარ შეუძლია, მას დოკუმენტებთან ერთად აგზავნიან მიწურში! სამაგიერო გადაუხადეთ მოღალატეს! შური იძიეთ ფაშისტებზე!“

ბოლოს მეთაურის ხელმოწერა იკითხებოდა.

სერიოჟამ ვიტკა ააჩქარა, უკვე გვიანია, დროა, შინ წავიდეთო.

ვიტკამ გაკვირვებულმა იკითხა:

— როგორ, პაპაშენი დაუმარხავი დავტოვოთ?

— უფროსებს უნდა მოვეთათბიროთ. — მერე დაუმატა: — მოდი, პაპას და, საერთოდ აქაურობას სურათი გადავუღოთ.

სახლისაკენ მიმავალი გზა ბიჭებმა უფრო სწრაფად გაიარეს. სახლში სერიოჟამ ბებიას უსიტყვოდ გადასცა პაპას ქუდი. ბებიამ ქუდი გულზე მიიკრა და უხმოდ აქვითინდა.

ბიჭების კუნძულზე ყოფნის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სოფელს, თედორე ლომოვი — ლიონიას პაპა — იმ საღამოსვე სოფლიდან გაიპარა.

მალე სოფლის კომკავშირელებმა ზუსტად ისეთი თხილამურები გააკეთეს, როგორიც სერიოჟასა და ვიტკას ჰქონდათ. ავტომანქანის კამერისაგან გაკეთებული მსუბუქი ტივით გადმოასვენეს კომისრის ნეშტი. გადმოიტანეს საბუთებიც. კომისრის ნეშტი რაიონის ცენტრალურ პარკში დაკრძალეს ზეიმით.

ამ ამბის შემდეგ ორი თვე გავიდა. რაიონის კულტურის სახლში გაასამართლეს მოღალატე და გამცემი თედორე ლომოვი, რომელიც თურმე ციმბირის რომელიღაც მიყრუებულ სადგურში დაეპატიმრებინათ.

თარგმნა რ. ლილუაშვილმა

თუ ფოტოსაჯმე კაი ინტერესებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში ხშირად მოგვდის წერილები თხოვნით, შემოვიღოთ ნორჩ ფოტომოყვარულთა კუთხე ან განყოფილება, რომლის მასალები დაეხმარება ფოტოგრაფიით დაინტერესებულთ. ვითვალისწინებთ ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველების სურვილს, ხელი მოჰკიდონ ფოტოსაქმეს, და გთავაზობთ ცნობებსა და რჩევებს დამწყებთათვის.

ფოტოგრაფიის აღმოჩენა სამ სახელთან არის დაკავშირებული. ესენი არიან ფრანგი გამომგონებელი ჟოზეფ ნიეფსი, ფრანგი ფერმწერი, დეკორატორი ლუი დაგერი და ინგლისელი მეცნიერი უილიამ ტალბოტი. ფოტოგრაფიის პირველაღმომჩენის სახელი მათგან დაგერს ერგო.

1839 წლის აგვისტოში პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ სცნო მის მიერ თავის კომპანიონ ჟოზეფ ნიეფსთან ერთად აღმოჩენილი ვერცხლის პოლირებულ ფირფიტაზე სინათლის გამოსახულების დამაგრების (ფიქსაჟის, ფიქსირების) ხერხი. მაშინ ნიეფსი ცოცხალი აღარ იყო და დაგერმა აღმოჩენას თავისი სახელი — დაგეროტიპია უწოდა. ასე რომ, ფოტოგრაფიის დაბადების დღედ 1839 წლის 19 აგვისტო ითვლება. თითქმის იმავდროულად განაცხადა თავისი აღმოჩენის შესახებ ინგლისის სამეფო საზოგადოებაში ტალბოტმაც. ტალბოტი გამოსახულებას იღებდა არა ქიმიური საშუალებით სინათლის სხივების მიმართ მგრძნობიარობა შეძენილ ლითონის ფირფიტაზე, არამედ სინათლისადმი მგრძნობიარე ხსნარით გაჟღენთილ ქაღალდზე. ქაღალდის ფირფიტა მყღავნდებოდა და ამ ქაღალდის ნეგატივიდან ასევე ქაღალდზე იბეჭდებოდა პოზიტიური გამოსახულება. დაგეროტიპიაში კი გამოსახულება უშუალოდ ვერცხლისავე ფირფიტაზე მაგრდებოდა. გამოდიოდა პოზიტიური გამოსახულება, რომლის გამრავლება შეუძლებელი იყო. შეიძლებოდა დაგეროტიპის მჰოლოდ ერთი ეგზემპლარის მიღება, ამასთან გამოსახულება მასში, როგორც სარკეში, შებრუნებული იყო. და მაინც ნიეფს-დაგერის ხერხი უფრო ხელმისაწვდომი გამოდგა, იგი სწრაფად გავრცელდა და თითქმის 15 წელიწადს ფოტოგრაფირების ერთადერთ ხერხადაც რჩებოდა. მაგრამ აი, 1851 წელს გამოცადა მინისა და არა ლითონის ფირფიტებზე სველკოლოიდური ფოტოგრაფირების ხერხი, რომელმაც აშკარად დაჯაბნა დაგეროტიპია. ამ ხერხით სურათები სინათლისადმი მგრძნობიარე ქაღალდზე იბეჭდებოდა. სწორედ აქედან იღებს უშუალოდ სათავეს თანამედროვე ფოტოგრაფია. ფირფიტას ყოველ ჯერზე უშუალოდ გადაღების წინ ამზადებდნენ, ასხამდნენ თხევად კოლოიდს, დააცლიდნენ შესქელებას, შემდეგ კოლოიდს სინათლისადმი მგრძნობიარე თხევადი შედგენილობის ფენით ფარავდნენ და სწორედ ამგვარ სველ ფირფიტებზე იღებდნენ ფოტოს. ნეგატივს შესაბამის ხსნარებში ამყღავნებდნენ და ფიქსირებდნენ. ფოტოქაღალდზე იბეჭდებოდა ნებისმიერი რაოდენობის სურათები და ეს დღის, მზის სინათლეზე ხდებოდა. ხმარებაში შემოვიდა გამადიდებლები და ახლა შეიძლებოდა ნებისმიერი ზომის სურათების ბეჭდვა.

1871 წელს ახალგაზრდა ინგლისელმა ექიმმა რიჩარდ მედოქსმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ აღმოაჩინა მშრალ, სინათლისადმი მგრძნობიარე ბრომჟელატინის ფენაზე ფოტოგრაფირების ხერხი. ამრიგად, ფოტოგრაფია განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. ფირფიტებს ახლა ფაბრიკული წესით ამზადებდნენ, გაიოლდა გადაღების ტექნიკაც, ფოტოგრაფს საშუალება მიეცა, მეტი ყურადღება დაეთმო საქმის მხატვრული მხარისათვის.



ა) წინა ხედი; 1 — კორპუსი; 2 — ფოტონაწილების დამმაგრებელი; 3 — ხედდამჭერი; 4 — ფირსახვევი სახელური; 5 — ხედდამჭერის ობიექტივი; 6 — გადამღები ობიექტივი; 7 — საკეტის ჩამოსაშვები კლავიში; ბ) უკანა ხედი; 8 — კადრების აღმრიცხველის სარკმელი; 9 — საკეტის ამწევი ჩახმახი; 10 — მიმღები კოჭი; 11 — კბილანა ლილვაკი; 12 — შუქშეუღწევადი კამერა; 13 — კასეტის ბუდე; 14 — კასეტის კოჭის სამართი; 15 — ხედდამჭერის ოკულარი.

ფოტოგრაფიის, როგორც ხელოვნების განვითარება უშუალოდ არის დამოკიდებული მის ტექნიკურ შესაძლებლობებზე. ის, რასაც რთული გზებით აღწევდნენ წინა თაობის ენთუზიასტი ფოტოგრაფები, დროთა განმავლობაში ფიზიკის, ქიმიისა და მექანიკის მიღწევების წყალობით ხელმისაწვდომი გახდა ყველა დამწყები ფოტომოყვარულისთვის.

გასული საუკუნის დამლევს გაჩნდა პორტატული აპარატები, ხმარებაში შემოვიდა სრულყოფილი ობიექტივები, დაიწყო ძიებები ფოტოგრაფიის, როგორც ხელოვნების დარგის, სფეროში. დღეს ფოტოგრაფიას მასობრივი ინფორმაციისა და სინამდვილის ასახვის საშუალებათა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

ფოტოგრაფიული გამოსახულების მიღების პროცესი მოიცავს ფოტოგადაღებას, სინათლისადმი მგრძნობიარე მასალის ქიმიურ-ფოტოგრაფიულ დამუშავებასა და ფოტობეჭდვას.

რაღა თქმა უნდა, ფოტოგადაღებით უნდა დავიწყოთ. ფოტოგადაღება ფოტოაპარატის მეშვეობით ხდება. ფოტოაპარატის კონსტრუქციის საფუძველი კორპუსი გახლავთ, რომლის შიდა ტიხრები მის შუა ნაწილში შუქშეუღწევად კამერას ქმნიან. კამერის ორივე მხარეს განლაგებულია კასეტების ანუ ფოტოფირიანი კოჭების ბუდეები. უკანა კედელის ჩარჩოს სახე აქვს და მას კადრების ჩარჩო ჰქვია. გარეთა მხრიდან ამ ჩარჩოს ეკვრის ფოტოფირის გამსწორებელი ფირფიტა. კორპუსის ზედა ფარზე მოთავსებულია საკეტის შესამართი და ფოტოფირის კადრობრივი გადანაცვლების ბერკეტი (ჩახმახი), ფოტოფირის უკან გადასახვევი სახელური, კადრების აღმრიცხველის სარკმელი, დაყოვნების დასაყენებელი თავი. ფოტოაპარატის კადრების ჩარჩო განსაზღვრავს ფირზე გამოსახულების ველის ზომებს — კადრის ფორმატს. კადრის ფორმატის მიხედვით ფოტოაპარატები იყოფა მინიფორმატიან (ფირის სიგანე 16 მმ, კადრის ზომა 13X17 მმ), ნახევარფორმატიან (ფირის სიგანე 35 მმ., კადრის ზომა 18X24 მმ.), მცირეფორმატიან (იგივე ფირი, კადრის ზომა 24X36 მმ.), საშუალოფორმატიან (ფირის სიგანე 61,5 მმ, კადრის ზომა 4,5X6, 6X9 სმ.) აპარატებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲓᲘᲓᲘ ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ“

ჯერ მეტსახელებს გაეცანით: „ჰაჯიმე“, „ჰუიპინა“, „სოსისა“, „კუკარაჩა“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ძმები კარამაზოვები“ — ესენი ძმები ბარსონიძეები და ბზიშვილები არიან...

არდადეგების დღეები იდგა. თბილისი-ხარკოვის მატარებელში ყველაზე მხიარული, რა თქმა უნდა, მეათე ვაგონი იყო. 17 ბიჭი — თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ ჰოკეისტთა გუნდ „მზიურის“ წევრები — საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის კლუბ „ოქროს შაიბის“ ფინალურ ტურნირზე მიემგზავრებოდა ხარკოვს. მხიარული ვაგონის ცხოვრება დილის ვარჯიშით იწყებოდა — ნორჩები იქვე, გრძელ დერეფანში ვარჯიშობდნენ, თანაც ისე ენერგიულად, რომ სხვა მგზავრებიც აიყოლიეს.

...სახელდახელო საუზმის შემდეგ დელეგაციის ხელმძღვანელის — პიონერთა სასახლის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგის სოსო მიქაძის თაოსნობით გამოცხადდა კონკურსი — „ყველაზე ლამაზი კუპე“. უნდა გენახათ, როგორ გაიხარეს ვალერი ლობჟანიძემ, ალეკო ენუქიძემ და დათო ლილუაშვილმა, როცა მათ დროებით „ბინას“ — მეორე კუპეს პირველობა მიაკუთვნეს! კონკურსს სპორტული შეჯიბრებებიც მოჰყვა. მიზიდვაში გიორგი გოგოსაშვილმა და დათო ჯიმშელეიშვილმა გაიმარჯვეს, ყველაზე უმცროსი გია ხერკელაძე მესამე ადგილზე გავიდა; ჩოგბურთის ბურთი ყველაზე ზუსტად დერეფნის თავიდან ბოლოში ბადრი ბარსონიძემ ტყორცნა; მოუსვენარმა დათო ჯიმშელეიშვილმა, „კუკარაჩას“ რომ ეძახიან სიყვარულით მეგობრები, შეთავსებით მეღუმელეობა იკისრა და „ცეცხლფარეშის“ ახალი მეტსახელიც დაიმსახურა. დათოს სრული ანტიპოდია ალეკო მიქაძე — დინჯი, წყნარი „სიზმარა“, კომპასით, დურბინდით, ელექტროფარნითა და საგზაო რუკებით შეიარაღებული ბიჭუნა, ბევრი რამით ჟიულ ვერნის ჟაკ პაგანელს — მრავალ „საერთაშორისო გეოგრაფიულ ასოციაციათა წევრს“ რომ მოგაგონებდათ.

...უნდა გენახათ, რარიგ გაბრწყინებული თვალებით უყურებდნენ და რა შეძახილებით ხვდებოდნენ მატარებლის ფანჯარაში აქა-იქ მოულოდნელად გამოჩენილ ტბორებს ჩვენი ბიჭები — „ნეტავი ჩვენთანაც იყოს ასეთი ყინულიო!“

დიახ, ხარკოვის ტურნირზე ჩვენი გუნდი ერთადერთი იყო, რომელსაც საკუთარი სავარჯიშო ყინულის მოდანი არ გააჩნია. სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ ტურნირზე თბილისის „მზიურს“ ხუმრობით „ასფალტის ჰოკეისტებს“ ეძახდნენ. ცხადია, ჩვენს ბიჭებს გამარჯვების პრეტენზია არც ჰქონიათ. ამის შესახებ გამგზავრების წინ პირდაპირ განუცხადა კორესპონდენტებს გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ომარ დონაძემ: ხარკოვში ძირითადად გამოცდილების მისაღებად მივემგზავრებითო. ასეც მოხდა — ქართველი ჰოკეისტები მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებდნენ თამაშს, სულ უფრო მყარად იდგნენ ყინულზე, ბევრად უკეთ ხმარობდნენ ჰოკეის ჯოხს, მეტი ორგანიზებულობით იბრძოდნენ დაცვაშიც და თავდასხმაშიც.

— ხარკოვის „იუბილეინის“ სპორტის სასახლეში მე ქართველ ჰოკეისტთა თითქმის ყველა შეხვედრას დავესწარი, ხოლო ერთს, ლენინგრადის „აეროფლოტთან“, ვუმსაჯე კიდეც, — მითხრა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა, მოსკოველმა **ანდრეი ზახაროვმა.** — პირდაპირ გეტყვით, პირველ და უკანასკნელ შეხვედრაში „მზიური“ აბსოლუტურად სხვადასხვა გუნდი იყო. თუ პირველ მატჩში (არხანგელსკის „ფაკელთან“) იგი მეტოქემ, რომ იტყვიან, ყველა კომპონენტში დაჯაბნა, ბოლო შეხვედრაში (ყაზახეთის „სნეჟინკასთან“) ინიციატივას უკვე მთლიანად ქართველი ჰოკეისტები ფლობდნენ. ამიტომაც იყო, რომ მათ მაყურებელთა და სპეციალისტთა დიდი სიმპათიები დაიმსახურეს და ბევრი მოწვევაც მიიღეს საშემოდგომო თუ ზამთრის არდადეგებზე ლენინგრადის, რიგის, ჩელიაბინსკის, უფის თუ იჟევსკის ტურნირებში მონაწილეობისათვის.

— ასეთი მონდომებული, ცეცხლოვანი, თავდადებული თამაში, დაცვაშიც და თავდასხმაშიც, ფინალურ მატჩშიც კი არ ყოფილა, — აღნიშნა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ვიტალი დავიდოვმა.** — ვერც კი იფიქრებდი, რომ ყინულზე ახალბედა ჰოკეისტები იყვნენ. მეორე პერიოდში „მზიურმა“ ლამაზი კომბინაცია წამოიწყო — ზურაბ ქავთარაძემ ზუსტად გადასცა შაიბა გიორგი გოგო-

ეკატერინე ბაბლიაშვილი

თუ ქარი არ ქრის...

თუ ქარი არ ქრის,
ცვარი არ ბრწყინავს,
თავს არ დამცქერის
მთვარე ნამგალა,
თუ ვარდის სურნელს
არ ვეზიარე,
მამულზე ფიქრმა
თუ არ დამღალა,
რაა ცხოვრება,
თუ არ ვუმღერე
მიწას, გაჟღენთილს
ვარდების სუნთქვით,
ჩემო მამულო,
ბედნიერი ვარ,
შენს სიცოცხლეზე
სიმღერა თუ ვთქვი!

საშვილს, რომელმაც ორი მეურვე მოიტოვა უკან და მოულოდნელად პასი ალეკო ენუქიძეს მიაწოდა, ალეკომაც არ დააყოვნა, შეუჩერებლად გაგზავნა შაიბა კარის მარცხენა კუთხეში და, თუმცა მინიმალური ანგარიშით, მაგრამ სავსებით დამსახურებული გამარჯვება მოუტანა თბილისელებს. თქვენმა გუნდმა, რომ იტყვიან, საბოლოოდ იპოვა „თავისი თამაში“. ასე რომ ეთამაშა „მზიურს“ მთელი ტურნირი, ალბათ, პირველ რვა გუნდს შორის მოიპოვება ადგილს. ვსარგებლობ შემთხვევით და გეტყვით, რომ პირადად მე სიამოვნებით გავუზიარებდი მზიურელებს ჰოკეის საიდუმლოებებს, დავეხმარებოდი თქვენს მწვრთნელებს—ომარ დონაძესა და ნიკოლაი კოსტრიუკოვს სასწავლო-საწრთნელი მუშაობის უკეთ წარმართვაში.

— მტკიცედ მჯერა, რომ ჰოკეის დღესასწაული ქართულ მიწაზეც დადგება, — მიმართა ჩვენს გუნდს „ოქროს შაიბის“ კლუბის პრეზიდენტმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა **ანატოლი ტარასოვმა.** — თქვენი გუნდი დაოუკებელი ტემპერამენტით, სისწრაფით, საზრიანობით, თავდადებით გამოირჩევა. საოცარია, როგორ მოახერხა „მზიურმა“, რომელმაც ყინულზე ფაქტიურად ხუთი ვარჯიში ჩაატარა, ასეთი საპატიო გამოსვლა ფინალურ ტურნირზე! მინდა ვიფიქრო, რომ საქართველოში, ამ მზიან რესპუბლიკაში, ბოლოს და ბოლოს ყინულის მოედანსაც ააგებენ. მერწმუნეთ, თქვენი ნიჭიერი ნორჩი ჰოკეისტები (რომელთაგან ერთი — მეკარე კოტე ბახუტაშვილი — უკვე ცსკა-ს მოზრდილთა გუნდში თამაშობს) ნამდვილად არიან ამის ღირსნი.

...ხარკოვის ყინულზე გამართული ერთკვირიანი ბრძოლები უკან დარჩა. დიდი გამოცდილებით, მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ თბილისში ნორჩი ქართველი ჰოკეისტები. ისინი გაეცნენ ამ ძველისძველი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, დაესწრნენ თეატრალურ სპექტაკლებს, იყვნენ მუზეუმში, ცირკში, ზოოპარკში, სტადიონზე. ასე რომ, „ყველაზე პროგრესირებადი“ გუნდის პრიზთან, „გუნდის საუკეთესო მოთამაშის პრიზთან“ (იგი ლევან ბზიშვილს მიეკუთვნა) და უდმურტეთის ჰოკეისტთა საგანგებოდ მორთმეულ „მაღალი ნებელობის“ ჯილდოსთან (იგი ალეკო ენუქიძეს გადასცეს) ერთად ჩვენმა ბიჭებმა თბილისში ჩამოიტანეს ხანგრძლივად სამყოფი სიხარული, ახალშეძენილი მეგობრების გულის სითბო და, რაც მთავარია, საკუთარ ძალთა რწმენა.

ოთარ ნოზაძე

ფოტო თ. ნიკოლაიშვილისა

შაიბის ნორჩი რაინდები სპორტული ბრძოლის ასპარეზზე.

მატჩი მოგებულია. ახლა ინტერვიუსთვისაც შეიძლება მოიცალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
ზოთა ინწკირველი

ნორჩ მოჭადრაკეთა შემოქმედება

დაახლოებით 20 წელია, რაც საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ზოგიერთ საბავშვო ბაღში 5-6 წლის ბავშვებს ჭადრაკის თამაშს ასწავლიან (ჭადრაკი როგორც საგანი, შეტანილია, აგრეთვე, ზოგიერთი საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამაში). ამის თაობაზე დროდადრო პრესაში ქვეყნდება ინფორმაცია და მწვრთნელთა წერილები — 5-6 წლის ბავშვებს ჭადრაკის თამაშის ათვისება შესძლებიათო.

დიდია ჭადრაკის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ბავშვებისათვის — ყურადღებიანობის, შეუპოვრობის, ლოგიკური, აბსტრაქტული და დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი საწყისისა და სხვა თვისებათა განვითარებაში.

სკოლამდელებისათვის ჭადრაკის თამაშის სწავლების პრიორიტეტი თბილისს ეკუთვნის. ჯერ კიდევ 1956 წელს № 1 საბავშვო ბაღში საზოგადოებრივ საწყისებზე დავიწყე 5-6 წლის ბავშვებთან მეცადინეობა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქართული ჭადრაკისათვის ნიჭიერი ბავშვების შერჩევა (მაშინ ამ წამოწყებამ რესპუბლიკის პრესაში ცხარე დისკუსია გამოიწვია. 1957 წელს გაზეთ „ლელოში“ ამ საკითხზე გამოვაქვეყნე ვრცელი სტატია „ჭადრაკი და სკოლამდელები“).

გაგაცნობთ ჩემი აზღრდილების რამდენიმე პარტიას. ვფიქრობ, მათი ყურადღებით შესწავლა არა მარტო თქვენ მოგიტანთ სარგებლობას.

ირაკლი გუგუნავა (6 წლის. მეცადინეობის სტაჟი — 7 თვე) — **ძავთარაძე.** 1957 წელი, მარტი. მეხუთე თანრიგის მოსაპოვებელი ტურნირი. ჩრდილოეთის გამბიტი: 1. e4 e5 2. d4 ed 3. c3 d5 4. ed c6 5. df3 dc 6. cd3 (ნორჩი მოჭადრაკე პოზიციის სტილში თამაშობს). ლb6 7. მ:c3 df6 8. 0-0 მ:d5 9. მ:d5 cd 10. ეe1 ce7 11. cg5 f6 12. ce3 ლc6 13. ec1 ლd7 14. c:c5! ac6 15. cb5! 0-0 16. c:c6 bc 17. c:e7 ee8 18. cc5 ca6 19. e:e8 e:e8 20. ლa4 cb5 21. ლa5 ლe6 22. c:a7 g5 23. ee1 ლc8 24. e:e8 ლ:e8 25. ლe1 ლd7 26. cc5 g4 27. md4 ca6 28. ლe7 ლc8 29. me6 ლ:e6 30. ლf8X!

გუგუნავა-სააკაშვილი. 1957 წელი, მაისი. სკანდინავიური დაცვა: 1. e4 d5 2. ed ლ:d5 3. mc3 ლe6 4. ce2 ლg6 (შავები, ლაზიერით უმნიშვნელო მუქარების შესაქმნელად, ტემპს კარგავენ. თანაც, ძვირფასი ფიგურისათვის ბრძოლაში ნაადრევი ჩაბმა სახიფათოა) 5. df3 (ნორჩი მოჭადრაკე ჩქარი განვითარებისათვის პაიკს სწირავს!) 5... cf5 6. mh4 ლf6 7. md5! ლc6 8. cb5!! c:c2 9. ლ:c2! სააკაშვილი დანებდა.

ირაკლი გუგუნავა, უშანგი გელდიაშვილი, რეზო ეგაძე (ამჟამად — ცნობილი ხელოვნებათმცოდნე), ლაშა თაბუკაშვილი (ამჟამად — ცნობილი დრამატურგი) და კიდევ ზოგიერთი საბავშვობაღელი შემდგომში, მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ჭადრაკს ველარ გაჰყვნენ.

ასევე საინტერესო და სასწავლოა საერთაშორისო ოსტატის, მსოფლიოს ჩემპიონ გარი კასპაროვის მწვრთნელის, ზურაბ აზმაიფარაშვილის ბავშვობის წლების შემოქმედება.

აზმაიფარაშვილი (დაიბადა 1960 წლის 16 მარტს. მეცადინეობის სტაჟი — 10 თვე) — **ამანათაშვილი.** 1965 წელი, ივლისი. მეხუთე თანრიგის მოსაპოვებელი ტურნირი (ამ დროისთვის იგი უკვე იწერდა სვლებს). შოტლანდიური გამბიტი: 1. e4 e5 2. d4 ed 3. df3 mc6 4. cc4 df6 5. mg5 me5 6. ლ:d4 მ:c4 7. ლ:c4 d5 8. ed ლ:d5 9. ლe2 ce7 10. 0-0 h6. 11. mc3 ლd8 12. mge4 ce6 13. cf4 0-0 14. mb5 c6 15. mc7 ec8 16. მ:e6 fe 17. მ:f6 e:f6 18. ead1 ლb6 19. ce5 eg6 20. ed7 cf6 21 ლe4! c:e5 22. ლ:g6 cf6 23. ლf7 mgh8 24. ee1 ლ:b2 25. g3 ლ:c2 26. e:e3 c5 27. e:f6! (იდეა — დაცვის მოხპობა) ლb1 28. mgg2 ლe4 29. mgh3 eg8 30. e:h6! (გათრევის იდეა). [illegible] დანებდა.

აზმაიფარაშვილი—ჯვართავა. 1966 წელი, ივლისი. მეოთხე თანრიგის მოსაპოვებელი ტურნირი. შოტლანდიური პარტია: 1. e4 e5 2. df3 mc6 3. mc3 df6 4. d4 ed 5. მ:d4 cb4 6. მ:c6 bc 7. cd3 d5 8. ed cd 9. 0-0 0-0 10. cg5 c6 11. ლf3 ce7 12. efe1 eb8 13. eab1 eb6 14. me2 c5 15. h3 c4 16. cf5 g6 17. c:c8 ლ:c8 18. mf4 ლd7 e:e7! ჯვართავა დანებდა თუნდაც 19. ... ლ:e7 20. მ:d5 ლd6 21. მ:b6 გამო.

აზმაიფარაშვილი — ჟომეთიანი. 1966 წელი, 13 ოქტომბერი. მესამე თანრიგის მოსაპოვებელი ტურნირი. ესპანური პარტია: 1. e4 e5 2. df3 mc6 3. cb5 a6 4. ca4 df6 5. 0-0 ce7 6. ee1 b5. 7. cb3 d6 8. c3 0-0 9. h3 ma5 10. cc2 c5 11. d4 ლc7 12. mbd2 cd 13. cd d5? 14. მ:e5 cc5 15. mdf3 ca7 16. mh4 cb7 17. b4 mc4 18. მ:c4 dc 19. e5!? md7 20. ლh5 g6 21. ლh6 c:d4 22. df5!!



(მეფის ფრთაზე უპირატესობის კანონზომიერი, ბრწყინვალე დაგვირგვინებაა. თუ აბლა

22. ... gf, მაშინ 23. კ:f5 ეf8 (ნებისმიერი სვლა) 24. კ:h7 მფh8 25. კg6! მფg8 26. ლh7 მფf8 27. ლ:f7×. ეს ვარიანტი 22-ე სვლის საფუძველია, ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების ნიმუშია). 22. ...კ:e5 23. კf4!! f6 24. ლg7×.

მზია ფერეთელი (8 წლის, მესამეთანრიგოსანი, ამჟამად — ოსტატი) — **აზმაიფარაშვილი** (მესამეთანრიგოსანი, 8 წლის), 1966 წელი, დეკემბერი. ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბ „ნაკადულის“ მცირე ჩემპიონატის ნახევარფინალი. ესპანური პარტია: 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0-0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0-0 9. h3 მa5 10. კc2 c5 11. d4 ლc7 12. მbd2 cd 13. cd კb7 14. მf1 ეac8 15. კd3 d5 (პანოვის კონტრშეტევა) 16. ed e4! 17. კ:e4 მ:e4! 18. ე:e4 კ:d5 19. ეe1 ლb7 20. მe3 კe4 (20... კ:f3 21. ლ:f3 ლ:f3 22. gf მc6 23. მd5 კh4 24. ეe4 ეcd8∓ შავების პოზიცია უკეთესია. **უნციკერი** — ეი3ე, 1951 წელი). 21. კd2 მc4 22. მ:c4 ე:c4 23. ლe2 f5 24. b3 ეc2 25. ეac1 ე:a2 26. ლe3 ეf8 27. კc3 b4 28. კa1 ეg6 29. მფh2 ლd5 30. ეb1 კd6 31. მფh1 კ:b1 32. ე:b1 ეe6 33. ლg5 ე:f2! 34. ლd8 მფf7 35. მg5 მფg6 36. ეg1 ლ:g2!! თეთრები დანებდნენ.

თბილისი, 1969 წელი, მარტის არდადეგები. „თეთრი ეტლის“ საქართველოს ჩემპიონატი — პირველი საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა საფეხური. ამ შეჯიბრებაში მეორეკლასელი ზურაბ აზმაიფარაშვილი საკავშირო სპორტკომიტეტის საგანგებო ნებართვით დაუშვეს. ივნისში მოსკოვში, „თეთრი ეტლის“ პირველი საკავშირო პირველობის ფინალში თავის დაფაზე საუკეთესო შედეგისათვის იგი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით — ტელევიზორით, ხოლო „მურზილკაში“ (№ 10) დაიბეჭდა წერილი და ფოტოსურათი.

ბაბათაშვილი (გარდაბანი, მესამეთანრიგოსანი, 12 წლის) — **აზმაიფარაშვილი** (მეორეთანრიგოსანი, 9 წლის). იტალიური პარტია: 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 კc5 4. 0-0?! მf6 5. d3 h6?! 6. h3?! d5. 7. ed მ:d5 8. კd2 კe6 9. c3 ლf6 10. მa3 0-0-0 11. მc2 g5! 12. ლe2 g4 13. hg კ:g4 14. კe3 ეhg8! 15. მce1 e4!! (მაღალკვალიფიციური მოჭადრაკის ხელწერაა! ნორჩი მოჭადრაკე საოცრად გრძნობს ბრძოლის დინამიკას. იგი ულმობელი თანამიმდევრობით მიიწევს დასახული მიზნისაკენ — დააშამათოს თეთრი მეფე. შამათის გასაღები კი f3 პუნქტია და სწორედ მის დასაუფლებლად ან მასზე შეტევით მეფის პოზიციის გასაშიშვებლად მიმდინარეობს ამ მიზნისათვის საჭირო ფიგურების კოორდინაცია.

სწავლების უპირველესი დანიშნულება პოზიციის დინამიკისა და ფიგურათა კოორდინირებული, ჰარმონიული მოქმედების გრძნობის (დიახ, გრძნობის, რადგან ჭეშმარიტი ცოდნა გრძნობაში გადაიზრდება) განვითარებაა და არა სადებიუტო ცნობარებითა და ენციკლოპედიებით ბავშვების დაგდება (თუმცა, ასეთ „მეთოდიკაზე“ ყველა მწვრთნელს მიუწვდება ხელი!) 16. de მe5! 17. მფh1 ეg5!!



(მშვენიერი სანახაობაა! შავი ფიგურების კოორდინირება მაქსიმალურად გაიზარდა. თეთრების ნებისმიერ პასუხზე შავები h ხაზს დაეუფლებიან.

მიაქციეთ ყურადღება, როგორ ღვთის ანაბარადაა მიტოვებული შავების „უსარგებლო ფიგურები“ — c5 კუ და d5 მხედარი. c5 კუ, უკვე ოთხი სვლაა, რაც მუქარის ქვეშ დგას და ასე დარჩება ბოლომდე, კიდევ ექვსი სვლის განმავლობაში! მეტად ღირებული გახდა დრო! ტემპი!).

აზმაიფარაშვილი უკვე მერამდენედ ნათელყოფს საგნის ცოდნასა და ნიჭს!

18. კ:d5 ეh5 19. მფg1 მ:f3 20. მ:f3 კ:f3 21. ლb5 (თუ 21. ლ: f3, მაშინ 21... ლ:f3 22. gf ეg8, შამათით) 21. ... ეh:d5! (დროის, ტემპის მოსაგებად მსხვერპლის გაღება გრძელდება!) 22. ed ლg6 23. g3 ლh5 და თეთრები დანებდნენ.

მასალის გაცნობისას ყურადღება მიაქციეთ: 1) სადებიუტო რეპერტუარის ევოლუციას; 2) პოზიციის გაგებას, რაც მეღავნდება პოზიციის შესატყვის სტრატეგიულ ქარგაში (და რომელიც მეტ-ნაკლებად დებიუტისა და [illegible] ვარიანტის არსის ცოდნიდან მოედინება); 3) კარგად განვითარებულ ტაქტიკურ ხედვას; 4) ვარიანტების გათვლას და 5) საშემსრულებლო ტაქტიკას, რომლის გარეშე ყოველგვარი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩებოდა.

ექვსი წლის ზურაბ აზმაიფარაშვილის მიერ რთული დებიუტების, კერძოდ — ესპანური პარტიის (და პრობლემური ვარიანტების) თამაში განაპირობა სწავლებისადმი შემოქმედებითმა, თამამმა დამოკიდებულებამ, კონკრეტული პროგვნების — ზ. აზმაიფარაშვილის ინდივიდუალობამ, მის მიერ მასალის ათვისების, შეძენილი ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარმა.

კუიბიშეველი ვუნდერკინდი

კუიბიშევში ცხოვრობს ნორჩი მოჭადრაკე ლენა დემბო (რომლის დედა ნადეჟდა ფოკინა სპორტის ოსტატია ჭადრაკში. ლენა დაიბადა 1983 წლის 8 დეკემბერს). პარტია, რომელსაც გთავაზობთ, გათამაშდა შარშან IV თანრიგის მოსაპოვებელ ტურნირში.

დემბო (8 წლისა და 9 თვის) — **ივანოვი**. 1. e4 h5 2. d4 b5 3. კ:b5 a6 4. კc4 f6 5. კ:g8 ე:g8 6. მf3 d6 7. 0-0 ეh8 8. მc3 კb7 9. კf4 მc6 10. e5 fe 11. de de 12. კe3 e6 13. ლ:d8 ე:d8 14. მg5 ეd1? 15. ეf:d1 a5 16. h3 a4 17. მ:a4 მa5 18. ეe1 კa6 19. a3 c6 20. მe4 g6 21. კa7 h4 22. g4 ეh6 23. მf6 მფd8 24. ეad1 მფc8 25. მb6 მფc7 26. ეd7×.

ბივი კეკრიაშვილი

● ვიდრე ბურბუშელოვანი ფილის ტორსში სჭვალს ჩახრახნიდე, გაბურღე სჭვალის დიამეტრის ნახევარზე ოდნავ მეტი სიგანის ხვრელი. ხვრელი „სუპერცემენტის" ან „მომენტის" ტიპის წებოთი (არა ეპოქსიდურით) ამოავსე და ერთი დღე-ღამის შემდეგ შიგ ჩახრახნე სჭვალი. კიდევ ერთი დღე-ღამე აცალე და მერე შეგიძლია ფილის გამოყენება დანიშნულებისამებრ.

● მტვერსასრუტი, ალბათ, თქვენცა გაქვთ ოჯახში. თუ მას ჯაგრისი გაუცვდა, მისი შეცვლა ჩვეულებრივი ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ჯაგრისით (ოღონდ მაგარჯაგრიანით) შეგიძლია. ხვრელი ციბრუტით გაბურღე, ზედმეტი ჯაგარი კი შეაკრიჭე. შემაერთებელი მილყელი ძველ ჯაგრისს მოხსენი.

● ჩამოსხმული ლითონჩარჩოიანი ტაბურეტის ბუდეს, რომელშიაც ფეხი იხრახნება, ზოგჯერ ხრახნკუთხვილი უფუჭდება. თუ შენს ტაბურეტსაც ასე დაემართა, აიღე ისეთივე კუთხვილიანი ქანჩი, ტორსი ისე გაუქლიბე, რომ შვერილები დაუტოვო (როგორც ნახაზზეა). ტაბურეტის ჩარჩოს ბუდეს წმინდა ქლიბით ქანჩის შვერილების შესაბამისი ორი განახერხი გაუკეთე და საჯდომი სიბრტყის ქვემო მხარეს შესაფერი ჩაღრმავება შეარჩიე. ამის შემდეგ ქანჩი ჩასვი, ფეხი ჩახრახნე და სკამიც მზად იქნება.

● ფოტოსურათების მისატკეპნი ლილვაკის სჭვალს სწრაფად სტუდება ხოლმე ქუდი და სჭვალის ღეროს ამოძრობა ლილვაკიდან მთელ პრობლემად იქცევა. თუ ლილვაკს თავიდანვე გაუკეთებ ჩაღრმავებას (სჭვალის ქუდზე მეტი დიამეტრით), პრობლემა აღარ წარმოიშობა.

● თუ ფანჯრის ან აივნის წინაფრაზე მოკაკუნე წვიმის წვეთების ხმა გაღიზიანებს, წინაფრის გაყოლებით ბგერის მშთანთქავი მასალა, მაგალითად, მუყაოს ზოლი დაამაგრე. ამ დროს შეგიძლია საკანცელარიო სამაგრების გამოყენება.











ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲔᲚᲘ

გაბედულად გადაწყვიტეთ თქვენი პრობლემები (წერილი) . . . . . გარეკ. 2
ნ. ფავლენიშვილი — ერთი მიზანი და საზრუნავი გვაქვს (ნარკვევი) 2
ჯ. ასადი — ლექსები 4
კ. კობერიძე — გალავანი (მოთხრობა) 5
მარატ კაზეი (წერილი) 11
კომკავშირი ახალ ცხოვრებას აშენებს (წერილი) . . . 12
ნ. აფხაზავა — იზრდებიან მომავლის კონსტრუქტორები (ნარკვევი) 14
თ. გოგოლაძე — მეგობარი მეგობრისთვის (წერილი) . . 17
ვლ. ასლამაზიშვილი — გაკვეთილი გრძელდება (ნარკვევი) . 19
ა ი ს ი 21
ნ. ქადაგიძე — ნებიერა (მოთხრობა) 22
პ. მოჩალოვი — სამხილი (მოთხრობა) 24
თუ ფოტოსაქმე გაინტერესებთ (წერილი) 27
ო. ნოზაძე — დიდი ყინულის დღეები (ნარკვევი) . . 28
ე. ბაბლიაშვილი — თუ ქარი არ ჰქრის (ლექსი) . . . 29
მხედრიონი 30
გამოგადგები 32
თამაშობები (წერილი) . . . . . გარეკ. 3
კროსვორდი . . . . . გარეკ. 3
თ. ჯალალანია — კლოდ მონე (წერილი) . . . . . გარეკ. 4

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ 1-ᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ „ᲣᲐᲣᲐᲩᲝᲔᲑᲘ" — ზ. ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲚᲐᲘᲓᲘ

მთავარი რედაქტორი ᲑᲐᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲚᲘᲐ

სარედაქციო კოლეგია: ᲐᲜᲐ ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲐᲤᲮᲐᲖᲐᲕᲐ (პ/მგ. მდივანი), ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ, ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲓᲝᲓᲝ ᲕᲐᲓᲐᲛᲙᲝᲠᲘᲐ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲐᲛᲮᲝᲜᲐᲫᲔ, ᲒᲐᲘᲝᲖ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (მხატვარი-რედაქტორი), ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲨᲐᲛᲤᲠᲘᲐᲜᲘ, ᲚᲘᲐᲜᲐ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26.05.88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.07.88 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,4; შეკვ. 1428. ტირაჟი 154000. ეგზ., უე 09395.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60X90 1/8, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9.
Тираж 154000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1988 წ.

სწრაფად გადაეცი

თამაშისთვის საჭიროა რაიმე საგანი: ბურთი, კუბიკი, კეგლი. მოთამაშეები ერთ რიგად დგებიან. თავში მდგომს ხელში უჭირავს, ვთქვათ, ბურთი. თამაშის წამყვანი მოთამაშეებისაკენ ზურგით გაჩერდება და თამაშის დაწყების ნიშანს იძლევა. რიგში მდგომნი ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემენ ბურთს ჯერ ერთი, შემდეგ მეორე მიმართულებით.

წამყვანი ერთბაშად შემობრუნდება — ვისაც ამ მომენტში ბურთი ხელში აქვს, ის თამაშიდან ვარდება. იგებს ის, ვინც ბოლოს დარჩება.

შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ როცა წამყვანი შემობრუნდება, ბურთი ერთდროულად ორ მოთამაშეს ეჭიროს. მაშინ ორივე მოთამაშე გამოდის მწკრივიდან, ბურთს მიწაზე დადებენ, ეთმანეთისაკენ ზურგით დგებიან და წამყვანის ნიშანზე შემოურბენენ მწკრივს, ამასთან თითოეული მათგანი ცდილობს მოასწროს და ბურთი აიტაცოს. რომელიც მოასწრებს, თამაშს ის განაგრძობს, დაგვიანებული კი გადის.

ფოსტა

მოთამაშეები წრეში დგებიან ერთმანეთისაგან გაშლილი ხელის სიშორეზე. წრის შუაგულში დგას წამყვანი — ფოსტალიონი. თითოეული მოთამაშე რომელიმე ქალაქს ასახელებს, თამაშის წამყვანმა კი უნდა დაიმახსოვროს დასახელებული ქალაქები.

თამაში იწყება. წამყვანი აცხადებს, მაგალითად: „ფოსტა მიდის მოსკოვიდან ლენინგრადში". იმ მოთამაშეებმა, რომელთა ქალაქებიც დასახელეს, სასწრაფოდ უნდა შეუცვალონ ერთმანეთს ადგილები. ამ დროს ფოსტალიონი ცდილობს, დაიკავოს ერთ-ერთი გათავისუფლებული ადგილი. თუ მოასწრებს, ფოსტალიონობა უადგილოდ დარჩენილ მოთამაშეს ეკისრება.

ბელურები და ყვავები

მოთამაშეები ორ გუნდად იყოფიან. დაახლოებით 10-15 მეტრის დაშორებით ავლებენ ორ ხაზს. თამაშის წამყვანი ამ ორ ხაზს შუა დგება. გუნდები წამყვანის წინ, ერთმანეთისაგან ზუგრშექცევით მოეწყობიან. ერთი გუნდი „ბელურებია", მეორე — „ყვავები". წამყვანი ასახელებს ერთ-ერთ გუნდს: „ყვავები!" ამ გუნდის მოთამაშეები თავიანთი ხაზისაკენ გარბიან. „ბელურების" გუნდის მოთამაშეები დაედევნებიან მათ და ცდილობენ ჩაჭრან, ვიდრე ისინი თავიანთ ხაზს — „ბუდეს" მიაღწევდნენ. ჩაჭრილ მოთამაშეებს ითვლიან. გამარჯვებული გუნდი რამდენიმე ტურში ვლინდება.

თამაში რომ უფრო საინტერესო და ცოცხალი გამოვიდეს, წამყვანმა ჯერ რიგრიგობით უნდა გამოიძახოს გუნდები, შემდეგ კი ზედიზედ, რომ მოთამაშეები წინასწარ არ მიხვდნენ, რისი გაკეთება მოუხდებათ — გაქცევა თუ დაწევა.

ხელები!

მოთამაშეები წრეში დგებიან. თამაშის წამყვანი წრეში დადის. უცებ რომელიმე მოთამაშის წინ ჩერდება და შესძახებს: „ხელები!" მოთამაშე, რომელსაც ეს უთხრა, მშვიდად უნდა იდგეს, ხელები კი მის მარცხნივ და მარჯვნივ მდგომმა მოთამაშეებმა უნდა ასწიონ, ამასთან მარჯვენა — იმან, რომელიც მის მარცხნივ დგას, მარცხენა — იმან, რომელიც მარჯვნივ დგას; უთუოდ რომელიმე შეცდება, ან შუაში მდგომი (მოულოდნელობისაგან), ანდა ხელებს აურევენ მის გვერდით მდგომები. ვინც შეცდება, თამაშს ის წაიყვანს.



ჯვარედინი



თარაზულად: 1. დროის დიდი მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვანი მოვლენებით; 3. საქართველოს რაიონული ცენტრი; 6. საფოსტო გზავნილი; 8. გარკვეული კლასის იდეათა, შეხედულებათა სისტემა; 13. რისაშე აზრის ახსნა, განმარტება; 17. ცალკეული პიროვნების, სახელმწიფოს და ა. შ. უფლებების შეზღუდვა; 19. მკვეთრად გამოხატული სხვაობა, დაპირისპირებულობა; 21. სხვაობა ბარომეტრის ან თერმომეტრის ორ სიმაღლეს შორის; 22. კურკოვანი მცენარე; 23. ცხვრის ნაშიერი ექვს თვემდე ასაკისა.

შვეულად: 1. ომისდროინდელი მსუბუქი ავტომანქანა; 2. მაღალ მთებში მცხოვრები დიდი მტაცებელი ფრინველი; 4. დიდი თევზი, ზუთხისებრთა ოჯახისა; 5. აზიის ქვეყანა; 7. ცხვრის გამოსაზამთრებელი საძოვარი ჩრდ. კავკასიაში; 9. ყვითელყვავილებიანი ბუჩქი, შხამიანი მათრობელა მცენარე; 10. პირი, რომელიც ნადირობს აკრძალულ ადგილებში, აკრძალულ დროს, აკრძალული ხერხებით; 11. ეფექტური საცირკო ნომერი; 12. ადამიანის ან ცხოველის ყელსზევითა ნაწილი; 14. დიდი ზომის თიხის ჭურჭელი; 15. გაღივებული, გამხმარი დაღერღილი მარცვლეული; 16. თანამოსაქმე ამხანაგი; 17. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 18. ზაფხულობით საცხოვრებელი, დასასვენებელი ადგილი; 19. რბილი, ჭედადი, მოვერცხლისფრო თეთრი ლითონი; 20. ინდონეზიის ერთ-ერთი უდიდესი კუნძული.

შეადგინა ალ. გოგრბიშვილმა

პასუხი № 6-ში მოთავსებულ „ცხრაკლიბულზე"

ღორი, მზე, ქუდი, ცოდნა, ნემსი და ძაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საგამოფენო დარბაზი



კლოდ მონე

„ტერასა ზღვის პირას“

ჩვენს დროში ძალზე პოპულარულია მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მხატვარ-იმპრესიონისტების — მონეს, რენუარის, პისაროს და სხვათა შემოქმედება. მათი ნათელი, ლამაზი, პოეტური სურათები იმდენად მომხიბლავია, რომ ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რატომ უარყო და დაგმო ისინი იმდროინდელმა საზოგადოებამ. მშრალ და მაღალფარდოვან ოფიციალურ ხელოვნებას შეჩვეული კრიტიკოსები გამანადგურებელ შეფასებებს აძლევდნენ იმპრესიონისტებს, მათ ნამუშევრებს არ ღებულობდა პარიზის სალონი — ყოველწლიური ოფიციალური სამხატვრო გამოფენა. მხოლოდ მრავალი წლის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს იმპრესიონისტებმა დამსახურებული აღიარება, ზოგიერთი მათგანი კი ვერც მოესწრო ამას.

1874 წელს იმპრესიონისტებმა მოაწყვეს საკუთარი, „დამოუკიდებელი გამოფენა“. სწორედ აქ წარმოდგენილი ერთ-ერთი სურათის სათაური გახდა მთელი ამ ჯგუფის, მთელი მხატვრული მიმდინარეობის სახელწოდების საფუძველი. ეს სურათი იყო „შთაბეჭდილება, ანუ მზის ამოსვლა“ (ფრანგულად — „იმპრესიონ“). მისი ავტორია კლოდ მონე.

კლოდ მონე ყველაზე თანამიმდევრული, ყველაზე ჭეშმარიტი იმპრესიონისტია. ცივ და უსიცოცხლო ოფიციალურ ფერწერას მან დაუპირისპირა ბუნების უშუალო, ხალასი გამოსახვა. მონეს პეიზაჟები ყოველთვის სრულდებოდა ღია ცის ქვეშ, და ამიტომ ისინი აღსავსეა ჰაერითა და სინათლით, მჟღერი და სუფთა ფერების ელვარებით, ხალისიანი და ლაღი გრძნობებით.

მონე ცდილობდა, ზუსტად გადმოეცა თავის პეიზაჟებში საკუთარი, განუმეორებელი შთაბეჭდილება, დაეჭირა ბუნების ცვალებადობა, მისი მოუხელთებელი მოძრაობა. სწორედ მონემ შენიშნა, რა ძლიერ იცვლება ერთი და იგივე პეიზაჟი სხვადასხვაგვარი განათების დროს — ღრუბლიან ან მზიან დღეს, დილას ან საღამოს. ასეთია მისი სერიები: „რუანის ტაძარი“ და „თივის ზვინები“.

ფუნჯის თავისუფალი, სწრაფი, მოძრავი მონასმებით გადმოსცემს მონე გამჭვირვალე ჰაერის ციმციმს, მზის სხივების ელვარებას, ტალღების ლივლივს. მისი სურათები ყოველთვის გამსჭვალულია თბილი, ნათელი გრძნობით, პოეტურობით. სამაგიეროდ, მისთვის სრულიად უცხოა დრამატული, მძაფრი ემოციები, ღრმა ფსიქოლოგიზმი. მხატვარი ქმნის საკუთარ მშვენიერ სამყაროს, სადაც უმთავრესია მდიდარ და ხასხასა ფერთა ელვარება. ტუუილად ხომ არ ამბობდა მის შესახებ ამ პერიოდის მეორე დიდი მხატვარი, პოლ სეზანი: „მონე — ეს მხოლოდ თვალია, მაგრამ, ღმერთო ჩემო, — როგორი თვალი!“

სწორედ ასეთია მონეს ეს სურათი — „ტერასა ზღვის პირას. სენტ-ადრესი“. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, იგი შესრულებულია ზღვისპირა ქალაქ სენტ-ადრესში, მონეს დეიდის სახლის ზედა სართულიდან. სურათზე გამოსახულნი არიან მხატვრის მშობლები და ნათესავები, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ ავტორს აინტერესებს არა ამ ადამიანთა ხასიათების გადმოცემა ან მათ შესახებ რაიმე აზრის მოთხრობა, არამედ ის, თუ როგორ ეთანხმებიან ეს ფიგურები გარემოს, ნათელი, მზიანი დღის ცოცხალ შთაბეჭდილებას. მათი სახეები თითქმის არ ჩანს. გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას აქცევს მხატვარი თეთრ კაბებზე ფერადი სხივებისა და ჩრდილების თამაშს, ჭრელ ყვავილებს, ღრუბლების სრიალს, ტალღების ლივლივს.

თავისი ინტერესებით, თავისი ნიჭის ხასიათით კლოდ მონე აშკარად პეიზაჟისტი მხატვარი იყო. მის შემოქმედებაში ადამიანის ფიგურას თანდათან სულ უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ბოლოს მონეს სურათებში განუყოფლად გაბატონდა ბუნება, ოცნებასავით მშვენიერი და ფერად ზმანებასავით მიმზიდველი.

თეო ჯალაღანია,
ხელოვნებათმცოდნე